პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 85 (19527) ◆ ხუთშაბათი, 10 აპრილი, 1986 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

„წითელი შაბათობა“ გვიცდიან

● სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა, მეინსტრუმენტე ნ. მამრაშმა მოუწოდა მთელ კოლექტივს 19 აპრილს გადაჭარბებით შეასრულოს დღის ნორმა. თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ თითოეულმა მშრომელმა მხურვალედ დაუჭირა მხარი მოწინავის ინიციატივას. „წითელი შაბათობის“ დღეს საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ მეთაური საწარმო გამოუშვებს 10 ათასი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას.

— ცხრამეტ აპრილს, — თქვა ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. კერესელიძემ, დაახლოებით ას მცირე სიმძლავრის ძრავას ჩვენი კოლექტივი დაამზადებს დაზოგილი ნედლეულითა და ელექტროენერგიით. ამას ჩვენ მივაღწევთ მთელი საწარმოო ციკლის ზუსტი ორგანიზაციის გზით. თითოეულმა მუშაკმა ვალდებულება იკისრა კომუნისტური შაბათობის დღეს ჩააბაროს მთელი პროდუქცია პირველი წარდგენით, იმუშაოს უწუხოდ, დიდი უკუგებით. ხუთწლედის ფონდში საწარმოს მშრომელები გადარიცხავენ 3 ათას მანეთს.

● მთელი შემადგენლობით გამოვა სამუშაოდ ლენინურ კომუნისტურ შაბათობაზე რუსეთის საწარმოო გაერთიანება „ქიმმოჯკოს“ კორდის გამოქიმიის № 1 საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლის კოლექტივი. „წითელი შაბათობის“ დღეს გამომუშავების ორმაგი ნორმის შესრულების პირობა დადეს მოწინავე მუშებმა ეუჟენა ყურაშვილმა, ლუიზა ოვსეპოვამ, ტაინა სერიხმა და სხვებმა.

ახალგაზრდულმა კოლექტივმა გადაწყვიტა გამოუშვას მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია, აქციოს შაბათობა დამკვრელური შრომის დღედ. კომკავშირულ-ახალგაზრდული ცვლის წევრთა უმრავლესობა საკუთარ განმტკიცებას თავის ოსტატობას. გოგონები გადავიდნენ ჩარხების მომსახურების ფართო ზონაზე, საქმის [illegible] ინოვაციურ [illegible] ითვისებენ ახალ მოწყობილობას, რომელიც [illegible] მეტი [illegible].

● სამშრომლიო. „წითელი შაბათობის“ დღეს სამტრედიის საკავანძო სადგურის სალოკომოტივო დეპოს მშრომელები წაიყვანენ 140 სტაჯირობო მატარებელს. ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ თითქმის ორი ათას მანეთს.

უკვე დღეს, მომავალი შრომის დღესასწაულის ანგარიშში დაჰყავთ დეპოს მემანქანეებს მძიმე წონის შემადგენლობანი. ამ თაოსნობის ინიციატორი გახდა სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი ჯუმბერ ქორიძე.

(საქინფორმი).

სტუდენტური გაზაფხული

ეაშინაც გაზაფხული იდგა თბილისში, როდესაც ცოდნის თვრა ტაძარში კიდევ ერთი საუნივერსიტეტო ტრადიცია იშვა — აფრიალდა „სტუდენტური დღეების“ ალაში. მისი პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ ახალგაზრდებს შეეძლოთ მთელი სიხალისით გამოეხატათ თავიანთი ყველაზე სანუკვარი მისწრაფებები, ნიჭი და უნარი, სამეცნიერო ინტერესები და ორგანიზატორული ჩვევები. შემდგომი წლებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეს ნამოწყება ერთსულოვნად აიტაცეს რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა, ასე ამაღლებულად და შთამბეჭდავად, რომ გამოხატავს უსაზღვრო ერთგულებას უფროსი თაობის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი, ლენინური პარტიის წმიდათაწმიდა იდეალებისადმი, მათს სწრაფვას ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისადმი.

წლევანდელ სტუდენტებს მხარი აუბეს მოსწავლეებმაც. „სტუდენტურ დღეებთან“ ერთად პირველად ეწყობა „ახალგაზრდული გაზაფხული“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის საშუალო და სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები.

„სტუდენტური დღეების“ ნარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა უთუოდ ისიც არის, რომ მრავალეროვანი სტუდენტური წლებისათვის განუყრელი ხალისითა და საზრიანობით აღსავსე პროგრამის შედგენაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების თითქმის ყველა ქალაქვილი და ჭაბუკი მონაწილეობს. წლითიწლობით მდიდრდება ახალი შინაარსით და უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი ხდება ეს ნამოწყება. სწორედ ისე, როგორც ჭეშმარიტ დღესასწაულს შეეფერება, ეს დღეები ყოველთვის განუმეორებელია და ამიტომაც უფრო შთამბეჭდავი. იმისათვის, რომ პროგრამას ყოველთვის ნარმატებით ესხმება ხორცი სტუდენტებთან ერთად, რაღა თქმა უნდა, მადლობა ეთქმით მათს უფროს მეგობრებსა და მასწავლებლებს — უმაღლესი სკოლის მესვეურებს, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მუშაკებს, პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელებს, ყველას, ვინც არც დროს, არც ენერგიას არ იშურებს, რათა ახალგაზრდობის კეთილი ნამოწყება კეთილად დაგვირგვინდეს.

„სტუდენტური დღეები — 86“ და „ახალგაზრდული გაზაფხული“ სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით არის ნასაზრდოები და მშვიდობის საერთაშორისო წელს ეძღვნება, ამიტომაც განსაკუთრებული აზრითა და მნიშვნელობით იყო აღსავსე წელს სტუდენტური ზეიმისათვის სამზადისი. „სტუდენტური დღეებით“ გათვალისწინებული ღონისძიებანი უმაღლესი სასწავლებლების აკადემიურ ჯგუფებში წელს უკვე მარტში დაიწყო. ოფიციალურად კი იგი დღეს იწყება დევიზით: „ყრილობის გადაწყვეტილებებს განვახორციელებთ“.

ბევრი სიახლეა „სტუდენტური დღეების“ პროგრამაში. იმისათვის, რომ გაძლიერდეს უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების როლი, რომელიც იმისი ქმედითი საშუალებაა, ადრე ეზიაროს ახალგაზრდობა სერიოზულ კვლევითს მუშაობას, პირველად გაიმართება წარმოებაში დანერგილი სტუდენტთა სამეცნიერო ნამუშევრებისა და სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროების დათვალიერება-კონკურსი, სტუდენტთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების ნამუშევრთა გამოფენა.

პირველად გაიმართება აგრეთვე ქართული ხალხური ცეკვის რესპუბლიკური კონკურსი; ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის სტუდენტური ანსამბლების დათვალიერება და კონკურსი ქართული ხალხური სიმღერის საუკეთესო შესრულებისათვის; ახალგაზრდული ფეხბურთი რესპუბლიკის თაავრ მოედანზე.

ზეიმის მონაწილე ქალიშვილები და ჭაბუკები შესვდებიან სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატებს, სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებს, წარმოებისა და სოფლის შეურნეობის მოწინავეებს, მეცნიერებს, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. გაიმართება საზოგადოებრივ მეცნიერებებში საკავშირო ალაკ და საერთაშორისო ახალგაზრდული მოძრაობისადმი მიძღვნილი XI საკავშირო კონკურსისა და XII საკავშირო ოლიმპიადის — „სტუდენტი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ რესპუბლიკური ტურები, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კოლექტიური სვლები ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში, ხალხთა შეგობრობის, საქართველოს კომკავშირის ისტორიის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების ისტორიის მუზეუმში, კომკავშირულ ქალაქში, შესვედრები პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან; სტუდენტთა მხატვრული და ფოტომოყვარულთა ნამუშევრების გამოფენა.

ახალგაზრდები მონაწილეობას მიიღებენ ხსოვნის დღის მოწყობაში, სტუდენტთა სამშენებლო და შრომითი რაზმების კონკურსში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კორპუსის მშენებლობისათვის.

ტრადიციულად „სტუდენტური დღეების“ პროგრამაშია ლენინური ჩათვლები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკის შედეგების შეჯამება; სტუდენტი ახალგაზრდობის შესვედრები სამინისტროებისა და სახალხო შეურნეობის სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელებთან, რომელთა სისტემაში განაწილებით იმუშავებენ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, მასობრივი კონკურსები საუკეთესო ნარკვევის, მოთხრობის, ლექსის, ნახატის, ფოტონამუშევრისათვის.

ზეიმს კიდევ უფრო დასახსომებელს გახდის პოლიტიკური სიმღერის რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში“ გაიხსნება, ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება და თეატრალური კოლექტივების ფესტივალები, რომლებიც ამჯერადაც შრომითის კოლექტივებში გაიმართება.

როგორც ყოველთვის, სტუდენტები ერთსულოვან მონაწილეობას მიიღებენ ლენინურ შაბათობაში.

გაწეულ შრომაზე, მიღწეულსა და სამერმისო ვეგმებზე ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტებს საქმიანი სვლა-ბაასი ექნებათ გმირი ქალაქებიდან — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ვოლგოგრადიდან, კიევიდან, მინსკიდან და სხვა ქალაქებიდან, აგრეთვე მომძე რესპუბლიკების დედაქალაქებიდან სტუმრად ჩამოსულ თანატოლებთან. ზეიმში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში წარმოგზავნილი უცხოელი სტუდენტები, ასპირანტები და სტაჟიორები.

წლევანდელ პირველად „სტუდენტურ დღეებში“ მონაწილეობისათვის მოწვეული არიან მოსკოვსა და სხვა ქალაქებში საქართველოდან სასწავლებლად წასული ქალიშვილები და ჭაბუკები, სტუდენტები, ახალგაზრდა მეცნიერები.

9 მაისს საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ლეჟავას სახელობის მემორიალი ჩოგბურთში.

რესპუბლიკის სტუდენტობას, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, ბეჯითი სწავლისა და შემოქმედებითი შრომისათვის განაწყობს და შთაგონებს ის უსაზღვრო ზრუნვა და ყურადღება, რომელსაც მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო იჩენენ. ამგვარ ამაგს და ღვაწლს ისინი ხომ ყველგან და ყოველთვის გრძნობენ — სასწავლო აუდიტორიებსა თუ ლაბორატორიებში, სტუდენტურ საცხოვრებლებსა თუ ბიბლიოთეკებში, სწავლისა თუ შრომის, შემოქმედებითი ძიებისა თუ დასვენების ჟამს. სკკპ XXVII ყრილობაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „უნდა გადავსინჯოთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სტრუქტურა, უზრუნველვყოთ თანამედროვე დონეზე სპეციალისტთა მომზადება, რომელთაც ექნებათ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები, ახლებურად უნდა წარვმართოთ სახალხო მეურნეობის დარგებთან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის ურთიერთობა“. ყრილობამ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალგაზრდობას, სტუდენტობასაც გადაუშალა კომუნისტური მშენებლობის ვრცელი პერსპექტივები, დაუსახა კონკრეტული სამომავლო ამოცანები. გვწამს, რომ წლევანდელი სტუდენტური დღეები ამ ამოცანათა გადაწყვეტისათვის საბრძოლო მზადყოფნის დათვალიერების დღეები იქნება.

მზად ვართ ვიმუშაოთ ახლებურად

სურათზე: კუიბიშევის ფაბრიკა „კრასნაია ზვეზდაში“ ყოფნის დროს.
საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

კუიბიშევი, 9 აპრილი, (საკდესი). მესამე დღეა გრძელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრები ქ. კუიბიშევისა და ოლქის მშრომელებთან. ქარხნებისა და ფაბრიკების სამქროებში, ქუჩებში იმართება გულახდილი და საქმიანი საუბრები. რაც შეიძლება სწრაფად შეასახან ხორცი კონკრეტული საქმეებით სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, გადაქცეთ ჩანაფიქრების ენერგია პრაქტიკული მოქმედების ენერგიად — ასეთია ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული რაიონის მშრომელთა განწყობილება.

დღეს მ. ს. გორბაჩოვი ჩარხსაშენებელი გაერთიანების მუშებს ეწვია. საუბარი ეხებოდა საწარმოს რეკონსტრუქციის მიმდინარეობას, ისეთი დონის მოქნილი საწარმოო მოდულების, ავტომატი ჩარხების გამოშვებას, რომლებიც მსოფლიო სტანდარტებს აღემატება, მუშების შრომისა და ცხოვრების სოციალურ-ყოფითს პირობებს. საუბრების დროს ბევრმა მათგანმა აღნიშნა, რომ მუშათა კლასი მზად არის იშრომოს ახლებურად, კონკრეტული საქმეებით უპასუხებს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებას საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შესახებ. მუშები დიდად დაინტერესა ვოლგის საავტომობილო გაერთიანების მუშაკთა ინიციატივამ იმუშაონ წლეულს სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მშენებლობებზე სულ ცოტა ოთხ თვისუფალ დღეს.

კარგი საქმე ჩაიფიქრეს ვაზელებმა, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, და კარგია, რომ ჩარხმშენებლები მხარს უბამენ მათ.

ეს-ეს არის აწყობილი ერთ-ერთი აგრეგატის გამართვას ეფლევა ახალგაზრდა ინჟინერ-მკვლევარი სერგი ზახაროვი.

პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი, მისი აზრით, გვასწავლის მთავარს: არ ვიყოთ კმაყოფილი იმით, რასაც მივაღწიეთ. ვდგავარ ახლახან აწყობილ პროგრამული რიცხვითი მართვის მრავალმიზნობრივ ჩარხთან და მინდა დავიკვეხნო: აი, რა შესანიშნავ ტექნიკას ვაკეთებთ-მეთქი, მაგრამ დარწმუნებული ვარ: როგორც კი იფიქრეს, ყველაფერი გავაკეთეო, მაშინვე ჩამორჩები. გარდაქმნა ქვეყანაში, ყოველ საწარმოში, სამუშაო ადგილზე, რომელმაც ტემპს უმატა ყრილობის შემდეგ, პროცესია, ხოლო იგი მაშინ იწყება, როცა კაცი მიხვდება, თავის თავს დაარწმუნებს: მთავარი წინ არის.

29 წლის სერგი ზახაროვმა უკვე მოასწრო ესწავლა მიღწეულის კრიტიკულად შეფასება. იგი სკოლის შემდეგ მოვიდა გაერთიანებაში, საბაზო ტექნიკურ სასწავლებელში შევიდა. აითვისა ხარატის საქმე, გახდა აღიარებული ოსტატი, მაგრამ ამას არ დასჯერებია: კუიბიშევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა. დაამთავრა ინსტიტუტი და კვლავ წარმოებას მიაშურა, რომლის შეყვარებაც მოასწრო. მონაწილეობდა გაერთიანების ჯერჯერობით საუკეთესო ტექნიკის სერიულ ათვისებაში.

დარწმუნებული ვარ, ამბობს ინჟინერი, ყრილობის გადაწყვეტილებებმა ყოველ სამუშაო ადგილს მიაღწია. და ეს მთავარია. რეკონსტრუქციის, გარდაქმნის დაჩქარებაში ხალხის ინიციატივა ჩაერთო.

საამქროს ერთ-ერთი მალი გაერთიანებამ მეზობლებს დაუთმო. აქ თავის ახალ პროდუქციას აჩვენებს შუა ვოლგის ჩარხსაშენებელი ქარხანა. მათ შორის არის ორი დამმუშავებელი ცენტრი, რომლებიც კოლექტივმა ჯადამდე დაამზადა. ასეთი ვალდებულება იკისრეს ვოლგელებმა პარტიული ყრილობის აღსანიშნავად და შეასრულეს იგი.

ჩარხები, რომლებზეც ლაპარაკია, მარტო კარგად შესრულებული პროდუქცია როდია. ეს მეოთხე თაობის ტექნიკაა, რომელიც აუცილებელია წარმოების ატომატიზაციის უფრო მაღალი დონისათვის, უადამიანო ტექნოლოგიათა ორგანიზაციისათვის.

ჩარხმშენებლებმა საუბრების დროს თქვეს, რომ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა ქალაქ ტოლიატის მშრომელებთან შეხვედრის დროს ღრმად ჩასწვდათ გულში მუშებს.

ყველას თავისი დასკვნა გამოაქვს, თქვა საამქროს ოსტატმა ს. გ. მალახაევმა. პირადად მე მიმაჩნია, რომ თუ ჩვენ ჩინებულ ჩარხებს გამოვუშვებთ, მაშინ სხვა ყველაფერიც რიგზე იქნება: მანქანებიც, ხელსაწყოებიც, საქონელიც. ჩვენ ყველას მოგვეწონა გამოსვლის გულახდილი და ნდობით აღსავსე კილო. საქმის ვითარება ასე მესმის: პარტია ყოველ მუშაკს მიმართავს. და გამოხმაურებასაც ყოველი მთვანისაგან იღებს.

ჩარხმშენებლებთან შეხვედრის შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი ეწვია კუიბიშევის ფაბრიკა „კრასნაია ზვეზდას“. ეს ფაბრიკა, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ვოლგისპირეთის სამკერვალო საწარმოთა შორის, უშვებს ქალისა და ბავშვის ტანსაცმელს. აქ მუშაობა შეუძლიათ, მაგრამ ყოველთვის არ გამოსდით საქმე ისე, როგორც სურთ. ახლა ფაბრიკაში რთული მდგომარეობაა. მარტის, ხოლო მასთან ერთად პირველი კვარტალის დაკალება ვერ შესრულდა, რა მოხდა? ამ კითხვაზე გეიპასუხებს საუბარი, რომელიც საწარმოში გაიმართა.

მ. ს. გორბაჩოვი: რატომ შემცირდა 20 პროცენტით შრომის ნაყოფიერება თქვენთან, ისეთსავე ფაბრიკებთან შედარებით, როგორიც თქვენია?

კომპარმა: (გამომჭერლთა ბრიგადირი): ახალგაზრდობა ჩვენთან არ ჩერდება, გვაკლია ბიჭები. 34 წელიწადს ვიმუშავე ისე, რომ ამ მაგდას არ მოვშორებივარ, ახალგაზრდები კი ორ-სამ წელიწადში მიდიან.

მ. ს. გორბაჩოვი: სხვათა შორის, ამბობენ, რომ კერვა კარგად იცით.

ზ. კომპარმა: დიახ, ჩვენს ნაწარმს არ აჩერებენ მაღაზიებში. არც ერთი რეკლამაცია არა გვაქვს. მაგრამ გვჭირდება, რომ ფეიქრებმა მოგვცენ ხარისხიანი, თანამედროვე, გემოვნებით მოხატული ქსოვილი.

მ. ს. გორბაჩოვი: ესე იგი, ქსოვილი მაინც ცუდია?

ლ. ეპეერინა (მოსამზადებელი საამქროს უფროსი): ძალზე ბევრია ცუხარისხო ქსოვილი, განსაკუთრებით — სალაბადე. არც ფერები უვარგა და ცუდად დამზადებულიც არის. ჩვენი გასაჭირი ის არის, რომ მკერავთა სახსტანდარტი არ შეესაბამება ფეიქართა სახსტანდარტს. ჩვენ მეორე-მესამე ხარისხის ქსოვილისაგან ვკერავთ პირველი ხარისხის ნაწარმს. ამიტომ ერთიორად მეტ შრომას ვხარჯავთ, ვიდრე საჭიროა.

მ. ს. გორბაჩოვი: ფეიქრებს უნდა წაუყენოთ მოთხოვნები. ასე უთხარით, ახლა ჯერ კიდევ მივიღებთ თქვენს ქსოვილს, მაგრამ თუ არ გარდაქმნებით ნახევარი-ერთი წლის შემდეგ, ჩვენ ეს ქსოვილი აღარ დაგვჭირდება-თქო. მაგრამ საერთოდ კი ნუ დაიგიწყებთ, რომ თერძი ყოველთვის გამჭრიახი იყო და მარჯვედ უღებდა ალღოს გემოვნების ცვლილებადობას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ ხსნის იმ საკითხებს, რომლებზეც თქვენ ლაპარაკობდით. ვფიქრობ, ყველამ უნდა გამოასწოროს საქმე, ფეიქრებმაც და თქვენც. კარგი, საქმიანი ურთიერთობა უნდა დამყაროთ მიმწოდებლებთან, ითანამშრომლოთ მომიჯნავეებთან. კარგებს მაღლობა გადაუხადოთ, წერილი მისწეროთ, თქვათ ამის შესახებ გაზეთის მეშვეობით. მაგრამ, თუ მომიჯნავენი ცუდად მუშაობენ, დელეგაცია უნდა გაგზავნოთ, საფუძვლიანად დაამუშაოთ ისინი მდარე ხარისხისათვის. თქვენი შეშფოთება გასაგებია, მაგრამ რადგან საქმისათვის სწუხართ, იგი გაუმჯობესდება კიდეც.

მკერავები, რომლებიც არ იხსნიან პასუხისმგებლობას პროდუქციის ხარისხისათვის, ჩვენთან ქსოვილის მდარე ხარისხის გამო. მარშან ისინი იძულებული იყვნენ მიმწოდებლისათვის დაებრუნებინათ მდლიონ 254 ათასი მანეთის პროდუქცია. განსაკუთრებით ბევრ ცუდ ქსოვილს გზავნის ლენინგრადის ტელმანის სახელობის წმინდა მაუდის კომბინატი.

გული გვტკივა, იმდენად გვეანება ისეთი პროდუქციის გამოშვებისათვის დახარჯული შრომა, რომელიც ხალხს არ მოსწონს, გამოთქვა კოლექტივის აზრი გამოჭრელმა ტ. შიშოვამ.

ტატიანა შიშოვა ახალგაზრდა კომუნისტია. პარტიაში შევიდა თავის შვიდ თანამოსაქმე ამხანაგთან ერთად სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ. საფაბრიკო პარტიული ორგანიზაციის ახალი წევრები აქტიური, თავისთავისა და სხვებისადმი მომთხოვნი ადამიანები არიან. მუშახელის დეფიციტის პირობებში არ სხედან გულხელდაკრეფილნი, რამდენიმე მომიჯნავე ოპერაცია ითვისეს.

ფაბრიკის მოედანზე კიდევ ერთი საუბარი გაიმართა. აქ შეიკრიბნენ არა მარტო ამ საწარმოს მუშაკები, არამედ ქალაქის მეზობელი რაიონების მეცხოვრებნიც. მათ თქვეს, რომ მაღარს უფერენ პარტიის კურსს, მაღლობას იხდიან მუშათა კლასთან პატიოსანი და გულახდილი საუბრისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: გავეცანით ფაბრიკას, ვნახეთ თქვენი პროდუქცია, დავათვალიერეთ საექსპერიმენტო საამქრო. კარგი მოდელებია. გემოვნება გაქვთ. ეს ძალზე კარგია. სამკერვალო მრეწველობის — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბნის პროდუქციის გამო ჯერ კიდევ ბევრი საყვედური ისმის. დარწმუნებული ვარ, მალე ფაბრიკაში იქნება ახალი ტექნიკაც და ახალი ხაზებიც.

მინდა მადლობა გითხრათ იმისათვის, რასაც აკეთებთ. შენიშვნებს რომ გაძლევენ, ესეც უნდა გაითვალისწინოთ. განსაკუთრებით თუ ამ შენიშვნას მყიდველები გამოთქვამენ. თავად თქვენ ხომ მყიდველები ხართ. როცა სხვა მაღაზიაში მიდიხართ სხვისი პროდუქციის საყიდლად, თქვენც ათვალიერებთ: ეს მოგწონთ, ის არ მოგწონთ, გამოთქვამთ შენიშვნებს. ასე ხდება თქვენი პროდუქციის გამოც. თქვენ მოუსვენარი პროფესია გაქვთ. ყოველდღე იმას, რასაც თქვენ აკეთებთ, ნახულობს ხალხი. ამიტომ უნდა გაიუმჯობესოთ მუშაობა, იმისათვის, რომ ნაყიდმა ასიამოვნოს კაცს, უკეთეს გუნებაზე დააყენოს იგი, ამასთან მოსახერხებელიც იყოს. ერთი სიტყვით, მკერავებს მინდა ვუსურვო, რომ გაიუმჯობესებინოთ ხარისხი. ხარისხი ყველაზე მთავარია. ეს ეხება ყველას: მკერავებსაც, მეფეხსაცმელეებსაც, იმათაც, ვინც საყოფაცხოვრებო ტექნიკას ქმნის. ყველას, ვინც უშვებს სახალხო მოხმარების საქონელს. ვიმედოვნებთ, რომ გადაწყვეტთ თქვენს ამოცანებს, მკვეთრად გაიუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს.

ყოველივე სიკეთეს გისურვებთ.

ა. ბელიაკოვი,
ბ. ბელიაკოვი,
ბ. ბრიშჩენკო,
ნ. ძელეზნოვი,
საკდესის სპეც. კორ.

მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვს დაბრუნდა

9 აპრილს დღის მეორე ნახევარში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი კუიბიშევიდან მოსკოვს გაემგზავრა.

აეროდრომზე იგი გააცილეს სკკპ კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. თ. ფურავიოვმა, პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა.

მოსკოვის აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ჰ. ა. ალიევი, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, სხვა ამხანაგები.

(საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პირუტყვის გამოზამთრება: დრო არ იცდის

რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, საქართველოს სსრ სახაგრომრეწვმა გარკვეული მუშაობა გასწიეს პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების უზრუნველსაყოფად. წარმოების ბევრმა მოწინავემ, მეცხოველეობის ბრიგადებისა და ფერმების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა, რომლებმაც გაზრდილი ვალდებულებანი იკისრეს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ისსაზღვრეს შემცირდა 212 კილოგრამით, ყვარლისა — 136 კილოგრამით, კასპისა — 98 კილოგრამით. ამ მაჩვენებლით განსულილი ორი თვის განმავლობაში ჩამორჩებიან აგრეთვე ქარელისა და მესტიის რაიონები.

ასპინძის, ბოგდანოვკის, გორის, დუშეთის, მარნეულის, მახარაძის, სოხუმის, თელავისა და წალკის რაიონების მეურნეობებში სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებენ, რათა მოაგვარონ ზუსტი აღრიცხვა და ანგარიშგება მეცხოველეობაში, რაციონლურად გამოიყენონ არსებული საკვები რესურსები, დაიცვან პირუტყვის მოვლა-შენახვის ნორმები და წესები, გაამკაცრონ ბრძოლა საკვების, პროდუქციის დატაცების წინააღმდეგ. ამის გამო გამოზამთრების ხუთი თვის მანძილზე სოხუმის რაიონში, მაგალითად, რძის წარმოება შემცირდა 17 ტონით, საშუალო ნაწველი — 36 კილოგრამით. შემცირდა ხბოების ნამატის მიღება, მოიმატა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის გაწყდომამ. რაიონის ბევრ მეურნეობაში წლითიწლობით იღებენ უაღრესად მცირე ნაწველს, სათანადო ყურადღება არ ემცეცა ჯოგის მომრავლებას.

ხელმშეგებულია ეს დარგი წალკის რაიონის მეურნეობებშიც. აქ შემცირდა ხორცის წარმოების, სახელმწიფოსათვის რძისა და პირუტყვის მაყიდვის მოცულობა, გაიზარდა პირუტყვის გაწყდომა. მეურნეობათა ხელმძღვანელებს, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტებს არა აქვთ ოპერატიული მონაცემები მეცხოველეობაში არსებული საქმის ვითარების შესახებ, ურიგდებიან საკვების გადახარჯვას, მის უკანონო ჩამოწერას. მეურნეობათა ფერმებში ანტისანიტარიული მდგომარეობაა.

დიდია დანაკარგები პირუტყვის იძულებითი დაკვლის გამოც. მარტო ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ბაშკოისა და ყიზილქილის საბჭოთა მეურნეობებში იძულებული იყვნენ დაეკლათ 33 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, კუშჩის საბჭოთა მეურნეობაში — 30, კლდეკარისაში — 47 სული და ა. შ.

მოიკოჭლებს შრომის დისციპლინა, ფერმებში დარღვეულია შინაგანაწესი. მეტ წილ მეურნეობებში ძროხის წველა იწყება დილის 8-9 საათზე, კვება — 11-12 საათზე, კვებასა და კვებას შორის ხშირია 16-18 საათის ინტერვალები. მწველავებს არა აქვთ სპეცტანსაცმელი, სამუშაო ინვენტარი.

მარნეულის რაიონის მეურნეობები გამოზამთრების განვლილ პერიოდში ჩამორჩებიან ხორცის წარმოების, სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის მიზედვით. საშუალო ნაწველი შემცირდა 29 კილოგრამით, მათ შორის საბჭოთა მეურნეობა „მეგობრობაში“ — 87 კილოგრამით, თელავის საბჭოთა მეურნეობაში 111 კილოგრამით, ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში კი 136 კილოგრამით. რაიონში მეცხოველეობის მაჩვენებლების გაუარესების ძირითადი მიზეზია საკვებით ცუდი უზრუნველყოფა: ერთ პირობით სულზე ცალკეულ მეურნეობებში დამზადებული იყო მხოლოდ 6,8-12 ცენტნერი საკვები ერთეული. მიუხედავად ამისა, ზუსტად არ არის აღრიცხული საკვების ხარჯვა, არის არარსებულ სულადობაზე მისი ჩამოწერის აქტები. ცუდად მუშაობს რაიონის საეტერინარო სამსახური. ხშირია მცირეწონიანი პირუტყვის გაწყდომისა და იძულებითი დაკვლის შემთხვევები.

სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა აგრეთვე ბოგდანოვკის, გორის, დუშეთის, მახარაძის, თელავის რაიონების ზოგიერთ მეურნეობაში. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კოლმეურნეობაში პირუტყვის სადგომი არ სუფთავდება, მეეორეობის ფერმაში ინახავენ 21 აღრიცხვა ნეზეს, რითაც შეიქმნა ხორცის დატაცების, პროდუქტიულობის მაჩვენებლების ხელოვნური გადიდების პირობები. კოლმეურნეობაში მიმდინარე წელს ერთ საფუროაეე ძროხაზე მოწველეს 184 კილოგრამი რძე — 107 კილოგრამით ნაკლები, ვიდრე შარშან. ეს მაჩვენებელი შემცირებულია რაიონის 18 მეურნეობაში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო გაერთიანებათა ხელმძღვანელები საგნობრივად არ მუშაობენ მეცხოველეობის პრობლემებზე, არ ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს დარგის საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. წალკისა და მარნეულის რაიონებში ბრიგადირებსა და მწველავებს დღემდე არ გაუცნეს რძის წარმოების დაკვლების ბარალი. ცუდად მუშაობს რაიონის საეტერინარო სამსახური. ხშირია მცირეწონიანი პირუტყვის გაწყდომისა და იძულებითი დაკვლის შემთხვევები.

ბოლოდროინდელ ბიუროებში გამოვლინდა აგრეთვე ბოგდანოვკის, გორის, დუშეთის, მახარაძის, თელავის რაიონების ზოგიერთ მეურნეობაში. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კოლმეურნეობაში პირუტყვის სადგომი არ სუფთავდება, მეეორეობის ფერმაში ინახავენ 21 აღრიცხვა ნეზეს, რითაც შეიქმნა ხორცის დატაცების, პროდუქტიულობის მაჩვენებლების ხელოვნური გადიდების პირობები. კოლმეურნეობაში მიმდინარე წელს ერთ საფუროაეე ძროხაზე მოწველეს 184 კილოგ

ᲐᲚᲕᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ რაიკომის პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ XXVII ყრილობის შედეგები და რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, გაიმართა მწვავე, პრინციპული სჯა-ბაასი მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია მახარაძის რაიონის ჩამორჩენა ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის მიხედვით, ღრმად ფესვგადგმულ და რაიონში ბოლო დროს გამოვლენილ ნეგატიურ მოვლენებზე, და მათი აღმოფხვრის, რაიონის ავტორიტეტის აღდგენის გზებზე.

მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ვ. კუნქუელიამ, კამთის მონაწილე მუშებმა და კოლმეურნეებმა, მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა შეშფოთებით ილაპარაკეს იმაზე, თუ რა სერიოზული ნაკლოვანებები იყო რაიონის ლამის ყოველ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს საქმიანობაში, რაც სამარცხვინოდ ლაქად მოეცხო მშრომელთა პრესტიჟს, პატიოსან სახელს.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

პლენუმი, რომელმაც უაღრესი პრინციპულობის ვითარებაში, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის, გულახდილობისა და პირდაპირობის სულისკვეთებით ჩაიარა, რაიონის პარტიული ორგანიზაციის, ყველა მშრომელის ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. მან განსაზღვრა სიძნელეთა დაძლევის, ეკონომიკის განვითარებაში მაღალი მჯნების მიღწევის, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების გზები და მიმართულებანი.

ნიშანდობლივია, რომ პლენუმის მონაწილეთაგან არავის მოუხსნია პირადი პასუხისმგებლობა. თუ ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ყველა მაჩვენებლის მიხედვით მოწინავე რაიონი დღეს მნიშვნელოვნად ჩამორჩა ბევრ სფეროში, ამაში ბრალი ყველას მიგვიძღვის, თვითკრიტიკულად განაცხადეს მათ.

პლენუმზე ითქვა, რომ რაიონის მშრომელებმა ბევრი მკაფიო, დაუვიწყარი ფურცელი ჩაწერეს ნათელი მომავლისათვის სამეურნეო ხელახლა რეკონსტრუქციისა და ბრძოლის ისტორიაში, თავდადებით იცავდნენ სამშობლოს დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, ძალ- ღონის დაუშურებლად ქმნიდნენ სამშობლოს ძლიერებას და. ამრავლებდნენ მატერიალურ დოვლათს. აქ აღიზარდა ომისა და შრომის გმირების მთელი პლეადა, რომლებმაც თავიანთი საქმეებით გაუთქვეს სახელი მთელ ჩვენს რესპუბლიკას.

მაგრამ, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, წარსული დიდება, წინანდელი დამსახურებანი არ იძლევა ახლანდელი და მომავალი წარმატებების გარანტიას, არათუ არ გვაძლევს, არამედ გამორიცხავს კიდეც იმის უფლებას, რომ ვიყოყოჩოთ და თვითდამშვიდებას მივეცეთ, უკრიტიკოდ მოვეკიდოთ საკუთარ მოქმედებასა და ქცევას, არაფრად ჩავაგდოთ სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმები და წესები, პარტიული ეთიკა და ბოლოს თვით ჩვენი კანონებიც კი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სათანადო შეფასება მისცა ყოველივეს, რაც რაიონში მოხდა. პლენუმის მონაწილეებმა იგი დროულად, სამართლიანად და სავსებით დამსახურებულად აღიქვეს და, თავის მხრივ, გამოავლინეს ნაკლოვანებათა ფესვები, დასახეს პირადი ამოცანები, კოლექტივების, ყველა მშრომელის ამოცანები მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად, რის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა შეიგნებს თავის პასუხისმგებლობას პარტიის, სახელმწიფოს წინაშე, იშრომებს პატიოსნად და თავდადებით ყოველ მინდობილ უბანზე, რათა მიაღწიოს საერთო გარდატეხის დაჩქარებას როგორც ეკონომიკაში, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გასაკეთებელი კი ბევრი რამ არის. რაიონმა მთლიანად ვერ შეასრულა ხუთწლიანი დავალება. რაიონისათვის ისეთ წამყვან და ტრადიციულ დარგებშიც კი, როგორიც არის მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, უაღრესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების არაკომპეტენტურმა ხელმძღვანელობამ, წაყრუებამ, უდიაღლობამ, რაოდენობის გამოდევნებამ, დაუსაბუთებელი დიდი გეგმებისა და ვალდებულებების ყოველი საშუალებით შესრულების პრაქტიკამ, გავრცელებულმა წამალტებებმა და თვალის ახვევამ ეს დარგები უკიდურესობამდე მიიყვანა. და ახლა, თუ არ გაწყრებიელდა გადამწყვეტი ღონისძიებანი ჩაის პლანტაციების გადასარჩენად, შეუძლებელი იქნება არათუ წარმოების ზრდა, არამედ მიღწეული დონის შენარჩუნებაც.

ასეთი ან თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა დარგშიც. შედეგებმაც არ დაიყოვნა. საკმარისია ითქვას, რომ მეურნეობათა უმრავლესობა ზარალიანია, ზოგიერთი ორგანიზაცია მოიხსნა დაკრედიტებიდან, პროდუქციის თვითღირებულება ორ-სამჯერ აღემატება მის შესასყიდ ღირებულებას.

ანდა ასეთი ფაქტი: ციტრუსების წარმოება რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში თითქმის ოთხჯერ ნაკლებია, ვიდრე საკარმიდამო ნაკვეთებში, მაშინ როცა ციტრუსების ფართობები თითქმის თანაბარია. მაგალითად, ხუთწლედის განმავლობაში საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სულ დაამზადეს 35 ათასი ტონა ციტრუსი, კერძო სექტორში კი — 116 ათასი ტონა. ასეთივე მდგომარეობაა მეხილეობაშიც: ხილის საერთო რაოდენობის მხოლოდ ხუთი პროცენტია შესყიდული საზოგადოებრივ მეურნეობებში. საჭირო არ არის დიდად გამოცდილი იყო ეკონომიკაში, ითქვა პლენუმზე, რომ ვერ დაინახო ამ და მისი მსგავსი სხვა ფაქტების მიღმა სხვადასხვა ბოროტმოქმედება.

არაკომპეტენტურობა, თავნებობა, თავის გამოჩენის სურვილი, პარადულობა, სხვისი აზრის უგულებელყოფა — აი სტილი, რომელსაც წლების მანძილზე ნერგავდა რაიონის ყოფილი ხელმძღვანელობა, რამაც ბევრი აშკარა დანაშაულის გზაზე დააყენა. სკკპ რიგებიდან გაირიცხა და დაპატიმრებულია პარტიის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი თენეიშვილი, რომელიც პირწავარდნილი მექრთამე აღმოჩნდა. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ზოგიერთი სხვა ხელმძღვანელი მუშაკი, მათ შორის რაიონის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ბაბილოძე. ეს ფაქტები რომ აღნიშნეს, პლენუმის მონაწილეებმა შეშფოთებით ილაპარაკეს არა იმდენად ასეთი დანაშაულობებით მიყენებულ მატერიალურ ზარალზე, რამდენადაც მორალურ ზიანზე.

სკკპ XXVII ყრილობამ, თქვეს ორატორებმა, პარტიული მომთხოვნელობისა და პრინციპულობის შესანშნავი მაგალითი მოგვცა. მის მიერ აღებული კურსი, ნამდვილად ლენინური კურსი, რომლის მიზანია პირადი პასუხისმგებლობის გადიდება მუშაობის დაკისრებული უბნისათვის, იმისათვის, თუ როგორ წარიმართება საქმეები შრომითს კოლექტივში, რაიონში, რესპუბლიკაში, მთლიანად ქვეყანაში, თითოეული ხელმძღვანელის, თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელის სახელმძღვანელო უნდა იყოს.

აქტივის მხრივ წაყრუებისა და დუმილის ვითარება, მშვიდად ცხოვრების სურვილი, ზოგ შემთხვევაში კი შიში — აი პირველმიზეზი ყოველივე იმისა, რაც ხდებოდა, — იყო პლენუმის ერთსულოვანი აზრი. მისმა მონაწილეებმა მოიყვანეს თავიანთი და მთელი დაწესებულებების უპრინციპობის ბევრი კონკრეტული მაგალითი. აი ერთერთი: რაისაბჭოს აღმასკომის პროტესტს მიუხედავად ნაკვეთი გამოყვეს რესტორანის შენებლობისათვის, აღმასკომს კი არ ეყო პრინციპულობა დაეცვა თავისი გადაწყვეტილება. დასკვნა ერთი შეიძლება გამოვიტანოთ — სწორედ ხელისუფლების ორგანოს ასეთი პოზიცია ქმნის სხვადასხვაგვარი ბოროტმოქმედების პირობებს.

შეეხნენ რა მორალურ ზიანს, რომელიც დამნაშავეებმა მიაყენეს ადამიანების ფსიქიკას, პლენუმის მონაწილეები, უწინარეს ყოვლისა, ფიქრობდნენ ახალგაზრდობაზე, მის წინაშე, მისი მომავლის წინაშე პასუხისმგებლობაზე.

ასეთი წუხილის საფუძველი კი ჰქონდათ. ახალგაზრდობის თვალწინ, თავიანთი შვილებისათვის ფსეუდოზრუნვის ნიღბით ბევრი ხელმძღვანელი სიყალბეს, დანაშაულს სჩადიოდა, ამასთან იყენებდა ორნაირ მორალს: ერთს ტრიბუნისათვის, მეორეს — თავისათვის. პლენუმზე დაასახელეს ისინი, ვინც სინდისზე ხელს იღებდა, სახელმწიფოს ატყუებდა. ასე იყო ძიმითის, დვაბზუსა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, სადაც კაცდღეებს აწერდნენ და ხელფასს უწერდნენ ადგილობრივი საშუალო სკოლების ყოფილ კურსდამთავრებულებს, მაშინ როცა ისინი მშობლიური სოფლებიდან შორს ცხოვრობენ და სწავლობენ. ოცდაათზე მეტი ასეთი ფაქტი გამოვლინდა რაიონში. გამოვლინდა აგრეთვე ისიც, რომ რაიონის საშუალო სკოლების ორმოცდაათზე მეტი ყოფილი კურსდამთავრებული, რომლებიც ფიქციურად გაფორმებულები არიან სხვადასხვა კოლმეურნეობაში და უსაქმოდ დაეხეტებიან რესპუბლიკის დედაქალაქში, ლაღად გრძნობენ თავს აქ მზრუნველი მშობლების მეურვეობით.

რამდენად შორს შეტოპა ზოგიერთმა თავის ამ მცდელობაში, ჩანს კიდევ ერთი მაგალითით, რომელიც მოიყვანეს პლენუმის ტრიბუნიდან. 1985 წლის აგვისტოში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ლევან ჭელიძეს სოფელ ცხემლისხიდის კოლმეურნეობაში ხელფასის სახით დაერიცხა 1454 მანეთი. შემდეგ „გამოირკვა“, რომ ბრიგადირსა და ბუღალტერს შეცდომით გამოუწერიათ მისთვის ეს თანხა. სინამდვილეში კი, ვითომ, ეს ფული ოცდოდე დღით აქტუმრად ჩამოსულ თბილისელ მეშვიდეკლასელს ნანა კვანტარიანს გამოუმუშავებია და ეს იმ დროს, როცა ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირმა, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის წევრმა ზინა გუჯაბიძემ იმავე აგვისტოში მხოლოდ 490 მანეთის გამომუშავება შეძლო. ჭკთხეთ ნენსმიერ მეჩაიეს, რამდენი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი შეუძლია მოკრიფოს ოქტომბერში? ყოველი მათგანი, ყველაზე გამოუცდელიც კი, გიპასუხებთ, რომ ოქტომბერში ჩაის კრეფის სეზონი უკვე ფაქტობრივად დამთავრებულია, და თუ სადმე კიდევ შეიძლება მისი მოკრეფა, ეს უკვე მხოლოდ ნარჩენები იქნება. მაგრამ ის, რაც არ ძალუძს არავის, შეძლო გუშინდელმა მოსწავლემ, სოფელ ასკანის მკვდრმა გოჩა კალანდაძემ, რომლის მამაც ჩაის მიმღები პუნქტის გამგედ მუშაობს. შარშან ოქტომბერში მან, არც მეტი, არც ნაკლები, ექვსი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი „მოკრიფა“ და თითქმის 2.200 მანეთი გამომუშავა.

კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია. კარგად უნდა გავერკვეთ ამ და სხვა მსგავს ფაქტებში, არ უნდა მივაფუჩეროთ ისინი, პრინციპული შეფასება მივცეთ. ახალგაზრდობისათვის, მისი შეგნებისათვის ბრძოლა, სწორად, დროის მოთხოვნათა სულისკვეთებით მისი აღზრდა რაიონის პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის მოვალეობაა, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე.

სკკპ XXVII ყრილობამ მოგვცა ცხოვრების ყველა სფეროს ხელმძღვანელობის, მართვის საიმედო ინსტრუმენტი, ეკონომიკაში, მასების შეგნებაში ძირეული გარდატეხის შეტანის, ყოველივე უარყოფითის აღმოფხვრის ინსტრუმენტი. ამოცანა ახლა ის არის, რომ სწორად გამოვიყენოთ ეს ინსტრუმენტი, სათანადო დონეზე ავიყვანოთ მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა. უნდა მივაღწიოთ, რომ მთლიანად აღმოფხვრათ ფორმალიზმი, პარადულობა, მოჩვენებითობა, თვალის ახვევა, როცა ცოცხალ იდეოლოგიურ მუშაობას ცვლის პომპეზური ღონისძიებები, გავხადოთ იგი კონკრეტული და მიზანდასახული, მივუახლოოთ იგი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარების ამოცანებს, დავუქვემდებაროთ საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევას. ასეთი იყო საერთო — და ერთსულოვანი — აზრი და მოთხოვნა.

ადამიანები უნდა აღვზარდოთ პარტიისა და ხალხის გმირული წარსულისა და აწმყოს კონკრეტული მაგალითებით. ასეთი შრომითი გმირობის მაგალითები, რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციები ხომ რაიონის მშრომელებს ბევრი აქვთ. ვის არ ახსოვს, როგორ ქმნიდნენ ისინი საუკუნის გარიჟრაჟზე გურიის გლეხთა რევოლუციური ბრძოლის შესანშნავ ფურცელს, ვის არ ახსოვს ცნობილი „ბახვის მანიფესტი“ — მშრომელთა ბოლშევიკური, რევოლუციური სულისკვეთებისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის ნამდვილი ნიმუში. ანდა მახარაძელთა პირველი ნაბიჯი უკრაინის სსრ გენჩიჩესკის რაიონის მშრომელებთან შეგობრული ურთიერთობისა და შრომითი კონტაქტების დამყარების გზაზე.

მალე ჩვენ ყველანი ზეიმით აღვნიშნავთ ამ რაიონების სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების 50 წლისთავს. და ეს ნახევარი საუკუნის იუბილე უნდა აღვნიშნოთ საუკეთესო შრომითი მაჩვენებლებით, გამოვიყენოთ იგი ყოველივე ნეგატიურისაგან, დანაშრევის აგან გაწმენდისათვის, მოწინავე რაიონის პრესტიჟისა და სახელის აღდგენისათვის.

პლენუმის მონაწილეებმა რაიონის ყველა კომუნისტის, შრომელის სახელით აღუთქვეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის, იმოქმედებენ მის მიერ დასახული კურსის შესაბამისად.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

1985 ᲬᲚᲘᲡ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არასაღერსოსთო საქონლის საქონელმცოდნეობის და ტექნოლოგიის კათედრამ საქართველოს სსრ ვაჭრობაში დაგეგმილება და მართვის აქტუალური პრობლემების შემსწავლელი დარგობრივი ლაბორატორიის თემატიკის მიხედვით შეისწავლა ფეხსაცმლის ასორტიმენტისა და ხარისხის სრულყოფის საკითხები. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ბევრი ნაკლია როგორც ფეხსაცმლის, ისე რესპუბლიკის სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ სხვა დარგებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში.

თანამედროვე პირობებში სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სტრუქტურის სრულყოფა მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა. შეიქმნა მეტად არასახარბიელო მდგომარეობა: არ კმაყოფილდება მოთხოვნები. არ სრულდება საქონლბრუნვის გეგმები, თუმცა სახალხო მოხმარეთა საგნების გამოშვება ანუ ნაწარმის ასორტიმენტის ცვლილებანი ძირითადად მიმდინარეობს არსებული ნაწარმის მოდერნიზაციით, რომლის მიზანია კონსტრუქციული და სამომხმარებლო თვისებების შეცვლა, ხოლო თავისი დანიშნულებითა და მოქმედების პრინციპით ახალი ნაწარმის შექმნასა და დამზადებას მრეწველობისა და ვაჭრობის სპეციალისტები, მეცნიერები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ. სამრეწველო საწარმოების მიერ ვაჭრობის შეკვეთით გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის მთლიან მოცულობაში ახალი ნაწარმის ხვედრითი წილი სინამდვილეში 2 პროცენტსაც არ აღემატება. სამრეწველო საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მონაცემებით, საქონლის ასორტიმენტის განახლება ხდება 60-70 პროცენტით, ზოგჯერ 100 პროცენტითაც კი, მაგრამ ფაქტობრივად, მხოლოდ ნაწარმის ნიმუშები მზადდება დიდი რაოდენობით და გამრავლება კი ცალმხრივად წარმოებს. ამიტომ რეკომენდაციას ვიძლევით, საქონლის ნიმუშების რაოდენობრივი შერჩევა შეიცვალოს ხარისხობრივი შერჩევის პრინციპით და მათი ტექნიკურ-ესთეტიკური დონე შეფასდეს ნაკადურ ხაზზე ნაწარმის ათვისებისა და მასობრივი გამოშვების შემდეგ, მასობრივად გამოშვებული ნაწარმისა და ნიმუშეტალონების ტექნიკურ-ესთეტიკური მაჩვენებლების შეუსაბამობის შემთხვევაში სამრეწველო საწარმოების მიმართ განხორციელდეს ეკონომიკური სანქცია, ასორტიმენტის განახლების პროცენტები განისაზღვროს მასობრივად გამოშვებული საქონლის ხარისხობრივ-სტრუქტურული მაჩვენებლების დონისა და რეალიზაციის შედეგების მიხედვით.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დაგეგმვა ასორტიმენტის მიხედვით ჯერ კიდევ არ შეესაბამება მეცნიერულად დასაბუთებულ რაციონალურ ნორმებს, რაც საქონლეზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია.

საკმარისად არ ვუშვებთ მომხმარებელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის „ს“ ინდექსიანი და, განსაკუთრებით, მოდური ქრომის ტყავის, მოდელური და სხვა მრავალი სამომხმარებლო თვისებების ფეხსაცმელს, სხვა ნაწარმს. მომხმარებელთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ერთ შემთხვევაში ტანსაცმელი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი მზადდება ნორმებთან შედარებით ნაკლები, მეორე შემთხვევაში კი 2-3-ჯერ მეტი. მოთხოვნა-მიწოდებაში ეს წარმოშობს შესაბამისად დეფიციტს ან ჭარბწარმოებას. ვაჭრობის შეკვეთების დასაბუთება და საქონლის ჯგუფური ასორტიმენტების მიხედვით გამოშვების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს მეცნიერულ საფუძველზე, კერძოდ, მომხმარების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების, რეალური მოთხოვნის გათვალისწინებით, და არა წარმოების შესაძლებლობის მიხედვით, როგორც ეს დღეს ხდება.

მეტად დიდია რესპუბლიკაში უკან დაბრუნებული მდარე ხარისხის სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობა. ამ მხრივ რესპუბლიკის მრეწველობის ზოგიერთ დარგს, სამრეწველო საწარმოსა და გაერთიანებას კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია. არის შემთხვევები, როდესაც სავაჭრო საწარმოები მიწოდებული საქონლის პარტიებს მთლიანად იწუნებენ, საშუალოდ კი დაწუნება შემოწმებული საქონლის 15-20 პროცენტს შეადგენს. მრავალია ისეთი საწარმოც, სადაც იყენებენ უახლესს მოწყობილობას, დეფიციტურ ნედლეულს, მაგრამ მათ მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონელი თავისი ხარისხით მაინც არ არის პრესტიჟული და კონკურენტუნარიანი, თავიდანვე განწირულია საგარანტიო რემონტ-ტალონებით. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, არასტანდარტული დაწუნებინა საქონლის მოცულობის 80-90 პროცენტი წარმოებიდ ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევის შედეგია, რაც შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალ დონეს მოწმობს.

მრავალი სახეობის საყოფაცხოვრებო მანქანები ჩამორჩება მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს. სამომხმარებლო თვისებებით, ეკონომიკური მახასიათებლებით, ვერ შეესაბამება ესთეტიკური დონისა და საიმედოობის ახალ მოთხოვნებს, საგარანტიო ვადაში სარემონტო ხდება ყოველი მესამე. ფერადი ტელევიზორი, ყოველი მეექვსე მაგნიტოფონი, დიდძალი სარეცხი მანქანები, საოჯახო მაცივრები, რადიომიმღებები, სათვალე და სხვა. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ სამრეწველო საწარმოებისადმი ტექნიკური კონტროლის დაქვემდებარების სისტემები და ხარისხის კონტროლის ორგანიზაცია მრეწველობასა და ვაჭრობაში ვერარ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. ამიტომ მიზანშეწონილია საქონლის ხარისხის კონტროლის ფუნქციების თავი მოვუყაროთ საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციაში ან შეიქმნას დამოუკიდებელი უწყება, მრეწველობაზე ვაჭრობის ზემოქმედების გაძლიერების მიზნით კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქონლის დაწუნების შემთხვევაში სამრეწველო საწარმოებმა ჯარიმა გადაიხადონ პროდუქციის მთელი პარტიის ღირებულებიდან, და არა შემოწმებული ნაწარმის თანხიდან.

დაბალია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის დონე რესპუბლიკის სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელ დარგებში. მოწინავე უცხოური და საბჭოური ტექნიკა და ტექნოლოგია, რომლის გამოყენებითაც წინასწარ არის გარანტირებული პროდუქციის ხარისხის მაღალი მაჩვენებლები, ინერგება უმნიშვნელო რაოდენობით ან დაგეგიანებით, ხოლო ცალკეული საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დონე ძალიან დაბალია. ასეთ საწარმოებში მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამიტომ დღის წესრიგში დგება მოდერნიზებული პროგრესული მოწყობილობის, ახალი ნედლეულისა და ტექნოლოგიური ციკლების გამოყენების აუცილებლობის საკითხი.

ახლა ფართო კონტაქტებია დამყარებული სოციალისტური ქვეყნების საწარმოებთან მეცნიერულ-ტექნიკური და თანამშრომლობის მიმართულებით და ამიტომ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის, სხვა დარგების საწარმოებს შესაძლებლობა ექმნებათ სრულყონ საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი მეცნიერების და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების ფართო დანერგვის საფუძველზე.

მარტო მსუბუქ მრეწველობაში მეთორმეტე ხუთწლედის მანძილზე დაინერგება 12 ათასი ახალი მოწყობილობა და 100 პროგრესული ტექნოლოგია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ავამაღლოთ წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დონე, გავუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი და გავზარდოთ მისი ექსპორტი. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მანკიერი პრაქტიკა, რომლის შესაბამებაც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე ითქვა. სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგობრივი დაწესებული ნორმატიულების ნაწარმს მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები ამზადებენ სახელოსნოებში, სადაც არ არის შექმნილი სათანადო ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა. ... ადგილობრივი მასალებ... ... ...

ვიყოთ კეთილი მასპინძლები!

საკურორტო სეზონი იწყება, როგორ ვემზადებით?

ახლა საკურორტო სეზონისათვის მზადების ცხარე დღეებია ჩვენში. საქართველოს შავი ზღვისპირეთის, ბარისა და მთის კურორტებს ათასობით დამსვენებელი ეწვევა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ამიტომ აქედანვე ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კეთილი მასპინძლობა გავუწიოთ ჩვენს მშრომელებს. იმაზე, თუ როგორ ემზადებიან კურორტები ახალი სეზონისათვის, ლაპარაკია ქვემოთ გამოქვეყნებულ მასალებში.

მშრომელი კმაყოფილი რომ დარჩეს

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან აპარის კურორტებზე ყოველდღიურად ჩამოდიან დამსვენებლები. მათ სტუმართმოყვარულად ეღებენ კარს რესპუბლიკის სანატორიუმები, პანსიონატები, დასასვენებელი სახლები. მარტო შარშან აპარის კურორტებზე ორგანიზებულად და არაორგანიზებულად დაისვენა 300 ათასზე მეტმა კაცმა, ზღვისპირეთში ზაფხულობით განსაკუთრებით ხალხმრავლობაა. უკვე სრული დატვირთვით ამუშავდა ჯანმრთელობის კერები. რა სიახლეები ხვდება მათ, რა პრობლემებია კურორტთა მართვის აპარის საბჭოსა და სხვა ორგანიზაციების წინაშე, როგორ ორმხვევენ თავს თავიანთ მოვალეობას ეაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშაკები. სწორედ ამ საკითხებს შევეხებით წერილში.

ამჟამად აპარაში ოცდაათამდე ჯანმრთელობის კერაა, მათი უმრავლესობა მუდმივმქმედია. სამედიცინო მომსახურებისა და აკურნალობის ეფექტიანობის გასაზრდელად სანატარიულ-სამკურნალო დაწესებულებანი ყოველწლიურად უახლესი დიაგნოსტიკური და სამკურნალო აპარატურით აღიჭურვება. ასევე მოხდა შარშან, და მომდინარე წლის პირველ კვარტალში. დანერგილია კარდიოგრაფიული და სპიროგრაფიული გამოკვლევები. შარშან ზაფხულში ზღვისპირა პარკში საბაზანოების რეკონსტრუქციის შემდეგ დაინერგა წყლით მკურნალობა. კარდიოლოგიური და სხვა დანიშნულების კაბინეტები აღიჭურვა უახლესი ტექნიკით. სიახლეებს ეფექტიც მოჰყვა. მოსახლეობა, ავადმყოფები კმაყოფილი არიან შედეგებით. მარტო წელს 6000-ზე მეტი კაცი იმკურნალებს.

კურორტთა ქსელის განვითარებასა და მკურნალობის დონის ამაღლებას საქართველოს კომუნისტთა XXVII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. მეთორმეტე ხუთწლედში აპარის კურორტების განვითარებისათვის ცენტრალიზებული წესით, სამეურნეოდ, საქართველოს კურორტთა მართვის საბჭომ საკმარისი თანხა არ გამოყო. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ხუთწლედში არც ერთი ახალი ობიექტის მშენებლობა არ არის გათვალისწინებული. მაგრამ ცხოვრება, კურორტის განვითარების აუცილებლობა თავისას მოითხოვს. აპარაში ჯერ კიდევ არის ამორტიზებული ჯანმრთელობის კერები, რომლებიც ეეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, კაპიტალურად მათი შეკეთება არც არის გამართლებული. აპარის კურორტთა მართვის საბჭომ კარგი გზა გამონახა. მსხვილ, ეკონომიკურად მძლავრ საწარმოებს კურორტის გასავითარებლად შესთავაზა წილობრივი მონაწილეობა. სანაცვლოდ აღუთქვა საწოლების გარკვეული რაოდენობა. დაიდო ხელშეკრულებანი და საქმესაც შეუდგნენ. თბილისის „მეტროპოლიტ ენი“ მონაწილეობას იღებს პანსიონატ „ბათუმის“ ახალი კორპუსის მშენებლობაში. სანატორიუმ „ქობულეთის“ რეკონსტრუქციისათვის სოლიდური თანხა გამოყო აგრეთვე „კოლეთამშენმა“. სხვადასხვა ობიექტებზე წილობრივად მონაწილეობენ თბილისის „ენერგომშენებლობა“, ლენინგრადის „კრასნი ტრეუგოლნიკი“ და სხვა ორგანიზაციები. ახალ მშენებლობებსა და რეკონსტრუქციებს მოხმარდება 10 მილიონი მანეთი.

მთავრდება „ჰორიზონტის“ ცენტრალური საქვაბის მშენებლობა. იგი მოემსახურება ქობულეთის ყველა ჯანმრთელობის კერას. ცხისძირის ზონაში ამოქმედდა კომპლექსური საწმენდი ნაგებობა. ანალოგიური ნაგებობა შენდება და ზაფხულში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მახინჯაურში. ეს ღონისძიებანი გაუუჯყიანებისაგან დაიცავს ზღვას. დამთავრდა დასასვენებელი სახლის „ნარინჯის“ რეკონსტრუქცია. კომფორტული პალატები ერთდროულად მიიღებს 275 დამსვენებელს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს კურორტთა მართვის საბჭოს გადასაწყვეტი. პრობლემები არ ჰქონდეს, თითქოს ნეგატიური მოვლენები აღარ იყოს. კვლავაც წაყწყდებით ზომა-წონაში დაკლებას, გულგრილობას, უპასუხისგებლობას, ერთფეროვან კერძებს, მომსახურების დაბალ დონეს. კურორტთა მართვის საბჭოს თანამშრომლები, მაკონტროლებელი ორგანოები ებრძვიან ნაკლოვანებებს და ზომებს იღებენ მათს გამოსასწორებლად. სამწუხაროდ, მეტ-ნაკლებად, ასე იყო და ასე გრძელდება. მაგრამ ამჟამად სხვა ნაკლოვანებებს და პრობლემებს გვინდა შევეხოთ, ისეთ პრობლემებს, რომლებსაც კურორტის შემდგომი განვითარებისათვის, ხალხს მომსახურებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

სანატორიუმი „აპარა“ ჯანმრთელობის ერთ-ერთი წამყვანი კერაა. წინა წლებში იგი ერთდროულად 100 კაცს იღებდა, ახლა კი 300 კაცს იღებს. სამკურნალო ბაზა კი უცვლელი დარჩა. ოთხი წლის წინათ შეიქმნა ახალი სამკურნალო ბაზის მშენებლობის პროექტი. ამისათვის ფული დაიხარჯა. მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის.

ზამთრობით, რომელიც თითქმის 5 თვეს გრძელდება, აპარის ჯანმრთელობის კერები დაუტვირთავია, ეს კი ფინანსურად უარყოფით კვალს ტოვებს, თანაც ათასობით ადამიანი მოუმსახურებელი რჩება. ამ რთული მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეიძლება. საქმე ის არის, რომ თუ ზღვის წყალი ზამთარშიც იქნება გამოყენებული, დამსვენებელი სიამოვნებით ჩამოვა. ამჟამად ქობულეთის ზონაში დამსვენებელთათვის არ არის არც ერთი კეთილმოწყობილი აუზი. საამისოდ კურორტის პოლიკლინიკის გადასაკეთებლად არის პროექტი, მაგრამ მშენებლობის გეგმაში შეტანას საშველი არ დაადგა.

კურორტის ზონაში ყველა მისასვლელი გზა როდია კეთილმოწყობილი. ისევ დაბალია საფოსტო და კავშირგაბმულობის მომსახურების დონე. ისევ პრობლემად არის გადაქცეული თვითმფრინავის ბილეთის შოვნა და რკინიგზელები ისევ ცოტას გამოყოფენ კუპე-ადგილებს, ასევე ნელა მიმდინარეობს ქობულეთში ცენტრალური კანალიზაციის ხაზის გაყვანა. რუსთაველის ქუჩა, რომელზეც კანალიზაციის ხაზი გაჰყავთ, მწყობრიდან არის გამოსული. უნდა დაჩქარდეს რუსთაველის ქუჩის კეთილმოწყობა, რათა ქობულეთის საკურორტო ზონა განტვირთოს ავტოტრანსპორტისაგან. ასევე აუცილებელია დაჩქარდეს ბათუმ-ჩაქვის წყალსადენის მშენებლობა. ჩაქვის წყლით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მწვანე კონცხისა და მახინჯაურის ჯანმთელობის კერები, ათობით ორგანიზაცია და ათასობით ოჯახი.

რაკი ქობულეთის ზღვისპირეთზე ჩამოვარდა ლაპარაკი, კიდევ რამდენიმე მტკივნეულ საკითხს გვინდა შევეხოთ. ქალაქის ცენტრში, ლენინის ქუჩაზე სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კვების ობიექტების ზოგიერთი ისეთი პრიმიტიული შენობა და ფარდული, ზედაც არ შეხედავ. თუკი ქობულეთი გამოირჩევა ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, იგი გამორჩეული უნდა გავხადოთ ნაგებობებითაც, სკვერებით, ატრაქციონებით. ერთი სიტყვით, სტუმარს დიდხანს უნდა გაჰყვეს კარგი შთაბეჭდილება. მხედველობაში გვაქვს მომსახურებაც და ზღვისპირეთის სილამაზეც.

ქობულეთის სანაპიროს ერთ-ერთი მშვენებაა საუკუნოვანი ფიჭვნარის ხეივანი, ხასხასა მოლი. ამ ბოლო დროს ვისაც ძალა აქვს, შეესია და ისე ძირიანფესვიანად თხრის ფიჭვნარს, გული მოგიკვდებათ. კურორტის განვითარებისათვის ბობოყვათის ზონაა გამოყოფილი, მაგ. ხეივანს რატომ აღარ ვიცავთ ხელყოფისაგან? გამორჩეული რაც გვაქვს, იმას განსაკუთრებით უნდა მოვუფრთხილდეთ.

დასკვნა ერთია. საქმე მხოლოდ დამსვენებელთა მომსახურებას როდი ეხება. უკეთ უნდა მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ, მოვაწყოთ ის, რაც გვაბარია. უნდა ვიფიქროთ არა მარტო დღევანდელ დღეზე, არამედ ხვალინდელზეც, იმ დიდ ამოცანებზე, გარემოს დაცვა, კურორტის განვითარება რომ ჰქვია.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



სურათზე: ახალი ათონი.

საშური საქმე

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად უდიდესი ყურადღება ექცევა დედათა და ბავშვთა სანატორიუმების მშენებლობას, ბავშვებთან ერთად მშობელთა ერთობლივი დასვენებისა და მკურნალობის საქმეს. ამის საილუსტრაციო მაგალითის მოსაყვანად ზორს წასვლა არ დამჭირდება. შემიძლია დავასახელო ფაქტები კურორტ შოვის ცხოვრებიდან, სადაც მე ვმუშაობ. ეს ჯანმრთელობის კერა ჩემი აქ მუშაობის პერიოდში დედათა და ბავშვთა სამკურნალო კურორტად იქცა. ბავშვებმა და მამამ შობლებმა განსაკუთრებით დიდი საჩუქარი მიიღეს — ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ერთი 150-ადგილიანი საცხოვრებელი კორპუსი და 500-ადგილიანი სასადილო. ამით დიდად გაუმჯობესდა ნორჩ დამსვენებელთა და მათი დედების მომსახურება. წელს გათვალისწინებულია 300-ადგილიანი კინოთეატრის მშენებლობის დამთავრება.

მიუხედავად ამისა, შოვს კვლავ მეტი ყურადღება, მხარდაჭერა და მზრუნველობა სჭირდება. აქ წლების მანძილზე შენდება და არ დაადგა საშველი საქვაბე-სარეცხაოს, წყალსადენისა და კანალიზაციის კომუნიკაციების მშენებლობის დამთავრებას. ეს ძალზე საშური საქმეა და მის გაჭიანურებას დამსვენებლები ვეღარ ურიგდებიან.

კურორტის ტერიტორიაზე რვა წლის წინათ აშენდა ეეკავშირის საუწყებო 120-ადგილიანი პანსიონატი. ეს კარგია. ცუდი ის არის, რომ ამ ხნის მანძილზე ეეკავშირს აქ არავითარი კეთილმოწყობითი სამუშაოები არ შეუსრულებია. ამჟამად კურორტის ტერიტორიაზე „სამთო ქიმიისა“ და აგროსამრეწველო გაერთიანებების მუშაკებისათვის შენდება ახალი პანსიონატი. პირველი 100-ადგილიანი იქნება, მეორე კი 250-ადგილიანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა კურორტ შოვს ორი დირექცია გააჩნდებ. მალე მისი რიცხვი კიდევ ერთი ამდენით გაიზრდება. თითოეული დირექცია აქ ახლა თავისი უწყვეტრივი ინტერესებისათვის ზრუნავს და მათ შორის არავითარი შეთანხმება-გაგება არ არსებობს. ისინი რაღაც ათიოდე კილოგრამი სურსათისათვის თავის წარმომადგენელსა და ავტომანქანას გზავნიან ბაზებში. ეს იწვევს საწვავის ხარჯვას, მანქანების ცვეთას, ადამიანების მოცდენას და სხვა მრავალ უხერხულობას. ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ კურორტის არც ერთი საუწყებო ორგანიზაცია არ ზრუნავს დასასვენებელი ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის. ამ ეგზემ წოდებულ „პატარა დირექციების“ სრულებით არ ანაღვლებთ, ამ ხაზით აქ რაიმე გაკეთდება თუ გაფუჭდება.

ამიტომ მე მიმაჩნია კურორტის ზონაში შეიქმნას ერთიანი დირექცია, რომელიც პასუხს აგებს დედათა და ბავშვთა დასვენებისათვის, დამსვენებელთა კვებისა და მის კულტურული მომსახურებისათვის.

საკურორტო ზონების მშენებლობა-განვითარებაში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი დადებითი გამოცდილება დაგროვდა როგორც ჩვენთან, ისე მომმე რესპუბლიკებში. დედათა და ბავშვთა დასასვენებელი ბაზების მშენებლობის სამეში ჩაბმული არიან დიდი სამრეწველო საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და პროფკავშირული ორგანიზაციები. სწორედ ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, მოგვარდეს საინიციატივო მშენებლობაში ცალკეული ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი.

გ. გრძელიშვილი,
კურორტ შოვის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

ნიუ-იორკი. აქ მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოსამზადებელი სპეციალური კომიტეტის სესიამ, რომელიც პირველია მომდინარე წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ კომიტეტს დააკისრა ამოცანა, მოამზადოს ფორუმი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით, რომელიც გახდება მნიშვნელოვანი ეტაპი საერთაშორისო გაერთიანების მეცადინეობაში, რამაც სამუდამოდ უნდა აღმოფხვრას ომის საშიშროება.

● აშშ

კონგრესმა მუშაობა განაახლა

ვაშინგტონი. საალდგომო არდადეგების შემდეგ მუშაობა განაახლა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა. კანონმდებლებს უწინარეს ყოვლისა მოუწევთ უახლოეს ხანში საბოლოოდ განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება ადმინისტრაციის მოთხოვნებისადმი, მკვეთრად გაზარდონ ამერიკის სამხედრო ხარჯები 1987 საფინანსო წელს და გამოუყონ „საგანგებო“ დახმარება 100 მილიონი დოლარის ოდენობით სომოსელთა ბანდებს ნიკარაგუის წინააღმდეგ ტერორისტული საქმიანობის გააქტიურებისათვის.

ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს უზრუნველყოს ნეოგლობალიზმის ჰეგემონისტური დოქტრინის უფრო ფართო ფინანსური ბაზა. მარტო სამხედრო პროგრამებისათვის თეთრი სახლი გეგმავს 320 მილიარდი დოლარის გამოყოფას. ამ ხარჯების მზარდი წილი გათვალისწინებულია არსებული შეიარაღების სრულყოფისა და ახალ, ეკროდ, კოსმოსური იარაღის შექმნისათვის. წინასწარი მონაცემებით, ამ უკანასკნელისათვის გათვალისწინებული ხარჯები ახალ საფინანსო წელს, მიმდინარე წელთან შედარებით, სულ ცოტა 40 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

როგორც ცნობილია, კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ პირველი კენჭისყრისას უარყო თეთრი სახლის მოთხოვნა ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის 100 მილიონი დოლარის გამოყოფის თაობაზე, ხოლო სენატმა, რომელსაც რესპუბლიკელები აკონტროლებენ, ხმების მცირე უპირატესობით მოიწონა იგი. ადმინისტრაცია არ მალავს, რომ მზად არის კვლავ მიმართოს კონგრესმენთა „ხელების გადაგრეხვის“ ტაქტიკას, რათა მიაღწიოს თავისი მოთხოვნის დამტკიცებას წარმომადგენელთა პალატაში ახალი კენჭისყრის დროს, რომელიც 15 აპრილს უნდა გაიმართოს. ადმინისტრაცია აპრილს აგრეთვე კონგრესის წინააღმდეგობის მიუხედავად მიაღწიოს მის მიერ მოთხოვნილი სამხედრო ბიუჯეტის მთლიანად დაკმაყოფილებას, როგორც ჩანს, თეთრ სახლს სულაც არ ანაღვლებს „სამხედრო საფუარით“ ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შეუკავებელი ზრდა, რომელიც წელიწადში 200 მილიარდამდე დოლარს შეადგენს, არც შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალის ასტრონომიული თანხა, აპრილში 2 ტრილიონ დოლარს რომ გადააჭარბა.

ხორცი შემვასსათ საბჭოთა ინვალიდებს

ნიუ-იორკი. აქ მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოსამზადებელი სპეციალური კომიტეტის სესიამ, რომელიც პირველია მომდინარე წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ კომიტეტს დააკისრა ამოცანა, მოამზადოს ფორუმი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით, რომელიც გახდება მნიშვნელოვანი ეტაპი საერთაშორისო გაერთიანების მეცადინეობაში, რამაც სამუდამოდ უნდა აღმოფხვრას ომის საშიშროება.

გაიხსნა განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოსამზადებელი სპეციალური კომიტეტის სესია

ახლანდელი სესიის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია საბჭოთა წინადადებანი, რომელთა მიზანია 2000 წლისათვის ჩვენს პლანეტაზე ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაცია. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები და დანარჩენი ბირთვული სახელმწიფოები მიიღებენ ამ კონკრეტულ და რეალურ წინადადებებს, ისინი შეიძლება გახდეს განიარაღების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავების ამოსავალი პუნქტი, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა **ლ. დოლეცმა.** მათი განხილვა შეიძლება სწორედ ისეთ ფორუმზე, როგორიც არის განიარაღების მსოფლიო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე უმნიშვნელოვანესი საბჭოთა ინიციატივების რეალიზაცია შეიძლება გადაიქცეს მსოფლიო მასშტაბით განიარაღების პროცესის მძლავრ კატალიზატორად, ამასთან კონფერენციის შედეგი შეიძლება გახდეს არა რეკომენდაციები, არამედ კონკრეტული, მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებანი.

საერთაშორისო გაერთიანება დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, ხელი შეუწყოს უკანასკნელ წლებში გაძლიერებული ნეგატიური, კონფრონტაციული ტენდენციების დაძლევას, გზა გაუკაფოს გამალებული შეიარაღების შეკვეცას. სწორედ ამას ისახავენ მიზნად საბჭოეთის პრინციპული საგარეოპოლიტიკური აქციები, თქვა ვიეტნამის დელეგატმა **ბაი სუან მპატმა.** ამ აქციებიდან მთავარია კონკრეტული, დროის ზუსტად განსაზღვრული პერიოდისათვის გაანგარიშებული პროგრამა, რომლის მიზანია ბირთვული იარაღის მთლიანი ლიკვიდაცია მსოფლიოში დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების სავალდებულო აკრძალვის პირობებში.

კომიტეტის წევრებმა გამოთქვეს რწმენა, რომ განიარაღების კონფერენციის განსახილველად საბჭოთა წინადადებების გამოტანას არა მარტო გაგების, არამედ დიდი მოწონებითაც შეხვდებიან მთელ მსოფლიოში. მაგრამ, როგორც უნგრეთის დელეგატმა **ი. მიკუშმა** აღნიშნა, კონფერენციის გამართვის იდეის ფაზოო საერთაშორისო მხარდაჭერის მიუხედავად, მის პრაქტიკულ განხორციელებას აფერხებენ დასავლეთის ქვეყნები და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები. ამასთან დაკავშირებით კომიტეტის წევრებმა აღნიშნეს, რომ ყველაფერი უნდა იღონონ, რათა სანამ გვიან არ არის დაძლიონ ომის საშიშროების ზრდის ტენდენცია. სპეციალური კომიტეტის წინაშე დგას ამოცანა უახლოეს დროში განსაზღვროს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მომზადების ვადები და გზები, ხაზგასმით აღნიშნეს სესიის მონაწილეებმა.

შეხვედრა თეთრ სახლში

ვაშინგტონი. თეთრ სახლში გაიმართა ა. თ. დობრინინის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრა იმასთან დაკავშირებით, რომ დამთავრდა ა. თ. დობრინინის ყოფნა ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის ელჩად.

შეხვედრის დროს რ. რეიგანს გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის წერილი, რომელშიც შეფასებულია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობა და აღნიშნულია, რომ საჭიროა განხორციელდეს მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამ საკითხებზე ა. თ. დობრინინსა და რ. რეიგანს შორის გაიმართა დაწვრილებითი აზრთა გაზიარება.

მკაცრად გააკრიტიკეს

ლონდონი. ბრიტანეთის პარლამენტში ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა ხერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ მკვეთრად გამწვავდა დაძაბულობა ოლსტერში.

მთა მკაცრად გააკრიტიკეს პროტესტანტ ექსტერმისტთა ტერორისტული გამოხდომები, რომლებმაც ქვეყნის ამ ნაწილში პროვოკაციულად გამოიწვიეს ძალადობისა და სისხლისღვრის ახლანდელი ტალღა.

ჰარარე. „ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია და ტეხერის მთავრობა ხელს უწყობენ მკვლელებს. ისინი თავს აფრიკელთა მეგობრებად ასაღებენ, სინამდვილეში კი მფარველობენ რასისტებს, რომელთა ხელითაც ყოველდღიურად იღუპებიან სამხრეთ აფრიკის საუკეთესო მამულიშვილები“,

ვ. მანდელა:

რასისტული სისტემა მთლიანად უნდა მოისპოს

— განაცხადა სამხრეთ აფრიკის გაზეთების „სანდი ტრიბიუნისა“ და „სანდი სტარის“ კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში ვ. მანდელამ. როგორც ჩემი ქმარი ამბობდა, რეიგანი მხოლოდ სიტყვით უჭერს მხარს აპარტეიდის ლიკვიდაციას, თქვა მან. პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტ დაარღვია პრეტორიის ხელისუფალთა უმკაცრესი აკრძალვა, რომელიც ეზება აპარტეიდის წინააღმდეგ მოძრაობის თვალსაჩინო აქტივისტის, რასისტულ დილეგებში მყოფი სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის ლიდერის მ. მანდელას ცოლის გამონათქვამთა პუბლიკაციას.

პატრიოტმა ქალმა მოითხოვა დაუყოვნებლივ შემოიღონ ყოველისმომცველი საერთაშორისო სანქციები აპარტეიდის რეჟიმის წინააღმდეგ. მან მოუწოდა სამხრეთ აფრიკის მუქანიან მოსახლეობას გადავიდეს კიდევ უფრო მტკიცე მოქმედებაზე, რათა მთლიანად მოისპოს რასობრივი დისკრიმინაციის სისტემა. ეს იქნება ერთადერთი ღირსეული პასუხი პრეტორიის რეჟიმისადმი, რომელსაც სისხლი სწყურია, თქვა ვ. მანდელამ. წინააღმდეგობის გაძლიერებას რასისტები რეპრესიების გამკაცრებით უპასუხებენ, მაგრამ ამისათვის ჩვენ მზად ვართ. ჩვენს მრავალტანჯულ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სრულ გამარჯვებამდე იბრძოლოს მჩაგვრელთა წინააღმდეგ, განაცხადა მან.

„დახვრეტისა და დაკრძალვის ქვეყანამ“ უწოდებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. გასულ შაბათ-კვირას პოლიციელთა ტერორის მსხვერპლთა ნუსხას კიდევ რვა აფრიკელი შემატა. გაფთრებული შეტაკებანი პოლიციასა და აპარტეიდის მოწინააღმდეგეთა შორის მოხდა იოჰანესბურგის მახლობლად გენლაგებულ კანემის შავკანიანთა „ბეტოშიში“. დამსჯელებმა ცეცხლი დაუშინეს დაბაში გამართულ მშვიდობიან დემონსტრაციას, მოკლეს სამი და დაჭრეს ათობით კაცი.

მღელვარებამ მოიცვა აფრიკელთა მრავალი დაბა ტრანსვაალის, კაფსკაიისა და ნატალის პროვინციებში. მრავალათასიანი ანტირასისტული მიტინგი გაიმართა იოჰანესბურგის აფრიკელთა გარეუბან კაგისოში. მიტინგის მონაწილეებმა დაგმეს პრეტორიის ფსევდორეფორმების პოლიტიკა და მოითხოვეს აპარტეიდის ლიკვიდაცია.

● აშშ

171 მსხვერპლი მარტო ერთ თვეში

საძრახისი „რეკორდი“ დაამყარეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულმა ხელისუფლებმა ამ წლის მარტში. სამხრეთ აფრიკის რასისტულ ურთიერთობათა ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ გასულ თვეში აპარტეიდის მოწინააღმდეგეთა და პრეტორიის რეჟიმის დამსჯელ ძალებს შორის შეტაკებათა შედეგად მოკლულია 171 კაცი. ეს უმაღლესი მაჩვენებელია 1984 წლის აგვისტოდან, როცა ახალი ძალით დაიწყო ანტირასისტული გამოსვლები.

● ეკონომიკა

ეკონომიკური ფორუმი

ეკონომიკური ეფექტიანობა — ეროვნული ამოცანა

9 აპრილი ● საქართველო იუწყება

ფაქტები • მოვლენები

ეროვნული ეკონომიკა

ფინანსური ბალანსი

ბაკურ სოსელია:

ბალანსი ეროვნული ეკონომიკისა

ბაკურ სოსელია:

ეროვნული ეკონომიკ

მეტი პასუხისმგებლობა და პრინციპულობა

ქართულ კინოში, ისევე როგორც ნებისმიერი ქვეყნის კინემატოგრაფში, დღესასწაულ ყოველდღიურობა ენაცვლება — ჩვენი ეროვნული ხელოვნების საამაყო მაღალმხატვრულ კინონაწარმოებებთან ერთად იქმნება ფილმები, რომელთა ავტორებს არა აქვთ აღმოჩენის, ეკრანის ესთეტიკური სივრცის გაფართოების პრეტენზია, თუმცა პროფესიონალიზმსა და ჟანრის გრძნობას ავლენენ. ეს ჩვეულებრივი მდგომარეობაა. თანაბარი ღირსების ფილმებს ვერც ერთ სტუდიაში ვერ იხილავთ. მაგრამ ამ ფონზე ქართულ კინოში სულ უფრო მატულობს რიცხვი ერთობ საეჭვო მხატვრული ღირსებების სურათებისა, რომლებიც, მათი დემონსტრირების სპეციფიკის გამო, აყალიბებენ საკავშირო მაყურებლის აზრს ქართული კინოს შესახებ.

საქმე ის არის, რომ იმ თოთხმეტი სურათიდან, რომლებსაც ყოველწლიურად კინოსტუდია „ქართული ფილმი“ უშვებს, ექვსი (ანუ პროდუქციის მესამედზე მეტი) გაერთიანება „ეკრანის“ დაკვეთით იქმნება ცენტრალური ტელევიზიით საჩვენებლად. სტატისტიკური მონაცემებით, ფილმების დემონსტრირების დროს (ჩვეულებრივ, პროგრამა „ვრემიამდე“ ან მის შემდეგ) ტელეეკრანებთან მილიონობით მაყურებელი იყრის თავს. ამდენად ნებისმიერ სატელევიზიო ფილმს გაცილებით მეტი შემფასებელი ჰყავს, ვიდრე დიდ ეკრანზე საჩვენებლად გამიზნულ საუკეთესო ქართულ სურათს. აქედან ცხადი ხდება ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც სატელევიზიო ფილმების ავტორთა წინაშე დგას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა კინოკრიტიკამ დროულად მიაქცია ყურადღება სატელევიზიო მხატვრული კინოს წიაღში მიმდინარე ძიებებსაც და ანომალიურ პროცესებსაც, ზუსტად მიაგნო მტკივნეულ წერტილებს და საკმაოდ დასაბუთებულად მიუთითა ავტორებს მათი შემოქმედებითი წარუმატებლობის მიზეზებზე. „ეკრანის“ დაკვეთით გადაღებული ფილმებს მიეძღვნა ი. კუჭუხიძის სტატია „ქართული მხატვრული და სატელევიზიო ფილმები“, ე. ოკუჯავას — „ფიქრები ქართულ სატელევიზიო ფილმებზე“, გ. გვახარიასა—„როგორ გველაპარაკება სტუმარი“, დაიწერა რეცენზიები ცალკეულ სურათებზე, მაგრამ... კრიტიკოსთა სიტყვა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ხელოვნების ნაწარმოების ღირებულება მისი სათქმელითა და ამ სათქმელის მხატვრული განსახოვნების დონით იზომება. სამწუხაროდ, ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე გაერთიანება „ეკრანის“ დაკვეთით გადაღებულ ფილმებს შორის ძალიან ცოტა თუ დგას პროფესიული კინემატოგრაფის მოთხოვნათა დონეზე (ფაქტობრივად უკანასკნელი წლების პროდუქციაში ერთადერთ ბედნიერ გამონაკლისს მწერალ რ. ინანიშვილის, რეჟისორ რ. ესაძისა და ოპერატორ ლ. პაატაშვილის ფილმი „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“ წარმოადგენს). უმრავლესი სატელევიზიო ფილმების ავტორებს კინოხელოვნების კატეგორიებით აზროვნება, კინემატოგრაფიული „წიგნიერება“, კინოენის სინტაქსის ცოდნა ზედმეტად მიაჩნიათ და მხატვრულ ამოცანათა გამარტივება, ჩანს, სატელევიზიო ფილმების სპეციფიკა ჰგონიათ. ცისფერ ეკრანზე უკონფლიქტო, უსახური, არაკვალიფიციური ფილმების მოძალებამ მაყურებელთა ფართო წრეებში „ცუდი ფილმი“ „სატელევიზიო ფილმის“ სინონიმად აქცია. ეს წარმოდგენა კიდევ უფრო განამტკიცა ცენტრალური ტელევიზიის სამმა ქართულმა კინობრიგადამ: ვალერიან კვაჭაძის ორსერიიანმა სურათმა „ორშაბათი ჩვეულებრივი დღეა“, გია მატარაძის კომედიამ „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ და ვახტანგ კიკაბიძის ტელენოველების კრებულმა „მამაკაცები და სხვები“

ვ. კვაჭაძის ფილმს „ორშაბათი ჩვეულებრივი დღეა“ საფუძვლად დაედო დრამატურგ ალ. ჩხაიძის თავის დროზე გახმაურებული პიესა „სამიდან ექვსამდე“, რომლის გმირი — ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რამაზ ავალიანი უზნეობის, კარიერიზმის, სულიერი კონფორმიზმის წინააღმდეგ მებრძოლ „საქმიან ადამიანთა“ იმ ტიპს განეკუთვნება, 70-იან წლებში რომ გაჩნდა საბჭოთა სცენასა და ეკრანზე. პიესამ მეტ-ნაკლები წარმატებით მოიარა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა თეატრის სცენები და ახლა მისმა გმირმა და პრობლემებმა ტელეეკრანზეც პოვეს განსახიერება. მაგრამ პიესის ძირითადი შინაგანი კონფლიქტის საფუძველი — გმირის პრაქტიკული უძლურება დასმული პრობლემების წინაშე — ფილმის ქსოვილში მიჩქმალული და ნიველირებული აღმოჩნდა. სურათს დააკლდა ავტორისეული ხედვის სიახლე, ახალი რაკურსი, ის ემოციური მუხტი, რომლის წყალობითაც პიესაში აღძრული პრობლემები მოულოდნელ სიმწვავეს და მრავალმნიშვნელობას იძენდნენ. წამყვანი გახდა დაშტამპული ლოზუნგებისა და ციტატების გამაუფასურებელი ინტონაცია, რომელმაც ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობა შეცვალა. „რეპორტაჟი“ აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტიდან ვერ ამაღლდა მხატვრული განზოგადების დონემდე, ფილმი ვერ გასცდა ათასჯერ აღძრული და უკვე მობეზრებული პრობლემების (ბოლავს ქიმკომბინატი, წყალი გასდის საბავშვო ბაღის სახურავს, ცრკში გათბობა არ არის, საქმოსანს კიდევ ერთი ბინის მიღება სურს და ა. შ.) უბრალო კონსტატაციას. უსახური რეჟისერია (თუკი კადრების ერთმანეთთან გადაბმას შეიძლება რეჟისურა ვუწოდოთ), მსახიობთა თამაშის თეატრალურობა (პერსონაჟთა სიმრავლის მიუხედავად არ შეიქმნა არცერთი დასამახსოვრებელი ხასიათი), ზეაწეული პათოსის ხელოვნურობა, გაჭიანურებული მოქმედება, ერთფეროვანი რიტმი, ხელს უშლის აღქმას. ფილმში არ ჩანს ესთეტიკური ამოცანა, უამისოდ კი ხელოვნების ნაწარმოებებზე მსჯელობა შეუძლებელია. „ორშაბათი ჩვეულებრივი დღეა“ მასალის აქტალურობაზე ორიენტირებული იმ კინოს ტიპური ნიმუშია, რომელსაც ყველი გაუვიდა და არა აქვს მაყურებლის გონების გამდიდრების, მასზე ემოციური ზემოქმედების უნარი.

მეორე სატელევიზიო ფილმის „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“ ავტორებმა (სცენარის ავტორი ა. ჭიკვინაძე, რეჟისორი გ. მატარაძე) მიზნად დაისახეს განსრთობი კინოსანახაობის შექმნა. კარგი სანახაობა კი მაღალ პროფესიონალიზმს, ჟანრის, ფორმისა და ზომიერების გრძნობას მოითხოვს. ანეკდოტები რაჭველებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო ფილმს (ეს კი სიინტერესო ხასიათების კომედიის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდა) მკაცრი კრიტერიუმის მომარჯვებით უნდა შერჩეულიყო. სამწუხაროდ, ავტორებს სწორედ ეს თვისებები დააკლდათ, რის გამოც ფილმში ხშირად პრიმიტიული ანეკდოტები აშკარად უგემოვნო ლაზღანდარობის საბაბი ხდება. უდაოდ გასთვალისწინებელი იყო კომიქსის, იუმორისტული სერიის, „გეგის“ ესთეტიკა, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს რიტმს— კინემატოგრაფიულ რიტმს. გარდა ამისა, მასალა მოითხოვდა ეკრანული პირობითობისა და პლასტიკის სულ სხვა დონეს. აქ კი ანეკდოტები ყოფითი კომედიის სტილისტიკაშია „გაბამაშებული. თვით ანეკდოტების სიუხვის მიუხედავად, იუმორის მარაგი მაინც ელვევა და უაზრო ხუმრობა დამჭანცველი ხდება.

გული დაგვწყვიტა ჩვენი პოპულარული მსახიობისა და მომღერლის ვახტანგ კიკაბიძის ფილმმა „მამაკაცები და სხვები“. ფილმში გაერთიანებული ხუთელების თემებია რაინდობა, სიყვარული, გულუხვობა, მეგობრობა, ტრადიციებისა და წინაპრების პატივისცემა, მომავლის რწმენა და სიყვარული — ერთი სიტყვით ის, რაც ოდითგანვე ქართული ხასიათის თვისებას წარმოადგენდა. თავისთავად ჩანაფიქრი კეთილშობილური. მთავარია, თუ რა სიუჟეტი მოუძებნა ავტორმა თითოეულ თემას და რა ფორმით გამოხატა სათქმელი.

საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ფილმში გაერთიანებულ ნოველებს აკლია მოხდენილობა და არტისტიზმი, რომ ხდება უკვე დიდი ხნის წინათ „მორალურად მოძველებული“ ფორმის ექსპლოატაცია ახალ, ღრმა და ტრაგიკი აზრით მისი უზრუნველყოფის გარეშე, რომ თვით ნოველებში წარმოდგენილი სკეტჩები და იუმორეს-კები მოითხოვდნენ მეტ გამომგონებლობას, ჭეშმარიტ გონებამახვილობას და პირობითობის სხვა დონეს. როგორც ჩანს, მასალის გააზრებაში და მოვლენათა შეფასებაში რეჟისორის ხედვას სცენარის თანაავტორის (სცენარი დავიდოვასთან ერთად შეიქმნა) ხედვამ სძლია. ის, რასაც ცდილობენ ქართულ ხასიათად, ქართველი კაცის თვისებებად წარმოგვიდგენონ (ისე, როგორც ეს ეკრანზეა), უცხო თვალით, ზერელედ დანახულს უფრო ჰგავს, ვიდრე თვით ავტორის ხანგრძლივი დაკვირვებისა და მხატვრული განზოგადების შედეგს.

წარმატება, როგორც წესი, „სტუდიის, მთელი ქართული კინოს დიდ გამარჯვებად“ იქცევა ხოლმე, მარცხი კი მხოლოდ ავტორის მხრებს აწვება ტვირთად. მაგრამ განა პასუხისმგებლობას ამ შემთხვევაში სტუდიაც არ უნდა იზიარებდეს? ბუნებრივია შემფოთებული მაყურებლის კითხვა: რა მიზნებს ისახავს და რა არგუმენტებს ეყრდნობა პროფესიული სტუდიის ხელმძღვანელობა, როდესაც არაპროფესიონალს ანდობს ფილმის გადაღებასო. ვ. კიკაბიძის წინა სურათი „იცოცხლე, გენაცვალე!“ — მისი აზრობრივ-ესთეტიკური არქაიზმი, რეჟისორის დონე — ალენდა ავტორის შემოქმედებითს ბუნებას და მომავალი შედეგის წინასწარგანჭვრეტის საშუალებასაც იძლეოდა.

დავუშვათ „მამაკაცები და სხვები“ სტუდიისათვის „თავსმოხვეული“. ფილმია. მაგრამ განა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამხატვრო საბჭოზე აღ დამტკიცდა და სტუდიის რედაქტურის მეთვალყურეობით არ შეიქმნა გ. ბადრიძისა და გ. წულაძის „კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთა“ — ოთარ თაქთაქიშვილი, „ბანდიტი აგურის ქარხნიდან“, დ. აბაშიძის „გამოაღეთ ფანჯრები“, გ. მგელაძის „მაცივარში ვიღაცა იჯდა“, ბ. ჩხეიძის „ბატონი ავანტიურისტები“, ლ. გორდელაძის „აქედანა და შენამდე“, მ. ზონელიძის „ღამის ილუზია“ და სხვ. ეს ფილმები ხომ „ეკრანის“ დაკვეთა არ არის. სწორედ ეს ბადეს აზრს, რომ „დამკვეთთან“ გართულებულ ურთიერთობებთან ერთად (ამაზე ახლა ბევრს წერენ და ლაპარაკობენ) დაბალია შეფასების კრიტერიუმები იქ, სადაც სატელევიზიო ფილმები იქმნება. კარგად გვესმის საკავშირო სახკინოსა და სახტელერადიოსთან ურთიერთობის მთელი სირთულე, მაგრამ ძალიან იოლად ხომ არ მოგვერია შემგუებლობის სენი, ალვილად ხომ არ დავმთეთ პროფესიები, ხომ არ დაგვაკლდა პრინციპულობა?

მაყურებელმა არაფერი იცის ტელეფილმების წარმოების ტექნიკური და ორგანიზაციული სირთულეების შესახებ, სამაგიეროდ ეკრანზე ხედავს გიული ჩოხელის „ყვითელ ჩიტს,“ გოლდონის „სასტუმროს დიასახლისსა“ და მოლიერის „სკაპენის იინების“ ცუდ ეკრანიზაციებს

მართალია, თითქმის არ არის კარგი სცენარები, მაგრამ განა თხუთმეტსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში არ მოიძებნება ნაწარმოებები, რომლებიც ამბით, ხასიათებით, აზრობრივი შინაარსის აქტალურობით დაინტერესებდა სატელევიზიო კინემატოგრაფს? მით უმეტეს დღეს, როდესაც ტელევიზია მსოფლიო კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ინტერპრეტატორის როლი ეკისრება. ქართული ლიტერატურული კლასიკისა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებების ნიჭიერი, საინტერესო ტელეადაპტაცია ფართო ასპარეზზე დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენს კულტურას.

უსახურსა და იაფფასიანს ჭეშმარიტი და მაღალმხატვრული თუ არ დაუპირისპირე, გამარჯვება პირველს დარჩება. ამიტომაც მეტი პრინციპულობა და პასუხისმგებლობაა საჭირო იმ საქმეში, რომელსაც ადამიანის „გონებრივი გამდიდრება, სულიერი ამაღლება, მისი გემოვნების დახვეწა და გაკეთილშობილება“ ევალება.

მარინე კერესელიძე.

ფეხბურთის მერიდიანებზე

ცეცერიანი, ... ერთის საერთაშორისო ... (ფიფა) მტაბ-ბინაში გამოცხადდა, რომ ... დასკვნა, ... ტატის მონაწილე გუნდებს 30 აპრილიდან ფინალური მატჩების დაწყებამდე ეკრძალებათ მექსიკის სტადიონებზე ნებისმიერი საკონტროლო შეხვედრის გამართვა ამ ქვეყნის ნაკრებთან და ამავე ქვეყნის საკლუბო გუნდებთანაც. მანამდე ფინალისტებს უკვე აკრძალული ჰქონდათ თამაში მექსიკის იმ საფეხბურთო სტადიონებზე, სადაც მსოფლიო ჩემპიონატების კალენდარული მატჩებია დანიშნული. 30 აპრილიდან ნაკრებ გუნდებს მექსიკაში მხოლოდ ვარჯიშის უფლება ეძლევათ. ამასთან ერთად, კრძალულია ვარჯიშის მიმდინარეობის ტელეტრანსლაცია და ვარჯიშზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა. გარდა ამისა, ფეხბურთელებს ეროვნული ფორმით ვარჯიშზე გამოსვლა ეკრძალებათ.

ფინალური ტურნირის დროს თითოეულ გუნდს ვარჯიშისათვის გამოეყოფა 45 წუთი იმ სტადიონზე, სადაც მეორე დღეს მისი მონაწილეობით ოფიციალური მატჩი გაიმართება. ოფიციალური შეხვედრის დღეს კი გუნდს ამ სტადიონზე სამეცადინოდ 20 წუთი გამოეყოფა.

ფიფამ დაადასტურა, რომ 27 ივლისს პასადენის სტადიონზე (აშშ-ს კალიფორნიის შტატი) გაიმართება სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. ამ შეხვედრის მთელ შემოსავალს შეიტანენ მექსიკაში მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთა ფონდში.

საბურნირო ორბიტა

ბადრაკი. კიევში გრძელდება ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). მეხუთე ტურში ბალაშოვმა დაამარცხა გავრიკოვი, ბელიავსკიმ — დვოირისი, იუდასინმა — ლუტიანი. ეინგორნინ დაუზავდა იაკოვირს, ხალიფმანი — აზმაიფარაშვილს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ხუთი ტურის შემდეგ ბალაშოვს 4 ქულა აქვს, ლერნერს — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. აზმაიფარაშვილმა ხუთ პარტიაში 2,5 ქულა დააგროვა. ასეთივე აქტივი აქვს კიდევ რამდენიმე მოჭადრაკეს.

ფიგურული ციგურაობა. ერევანში მიმდინარე საკავშირო თასის გათამაშებაზე მეცლების კიდევ ერთი კომპლექტი გათამაშდა. ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ნ. სკრაბნევსკაია (რსფსრ), მეორეზე — ი. კრუნდიშევა (ლენინგრადი), მესამეზე — ტ. კომისაროვა (რსფსრ).

ველოსპორტი. დამთავრდა სოჩის მრავალდღიანი ველოსრბოლა, ორმოცეული ხუთი ეტაპისაგან შედგებოდა. მეხუთე ეტაპი მოიგო ჩეხოსლოველმა ი. ივანოვმა. ხუთი ეტაპის ჯამით საბოლოო გამარჯვება მოიპოვა რუნოელმა ო. ჩუედამ.

თავისუფალი ჭიდაობა. ზაპოროჟიეში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ ათმა სპორტსმენმა იასპარეზზე. მათგან პირველი ადგილები მოიპოვეს ზ. ბოჭორიშვილმა (45 კგ-მდე წონა), ნ. ხუციშვილმა (56), ე. ხარიძემ (87), ლ. ქავთარაძემ (97) და ფ. ბადაგაძემ (+97).

სამგო. ოდესაში დასრულდა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს წარმომადგენელთაგან უძლიერესი იყო რ. ძიძიშვილი (ქვემძიმე წონა).

მაგნიტის ჩოგბურთი. ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ვაჟთა შორის გუნდური პირველობა მოიპოვა შვეიცარის ნაკრებმა, ქალთა შორის კი უნგრეთისამ. სსრ კავშირის ქალთა ნაკრები მეორე ადგილზე გამოვიდა. ახლა სპორტმენები პირად პირველობას გაითამაშებენ.

კრივი. ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება „სამეფო თასზე“. ამ ჯილდოს დაეუფლა სსრ კავშირის ნაკრები. პირად ჩათვლაში პირველი ადგილები შვიდმა საბჭოთა მოკრივემ მოიპოვა. მათ შორის არიან თბილისელი ალბერტ კაზანჯიანი (54 კგ-მდე წონა), კიროვაკანელი სამსონ ხაჩატრიანი (57), ყირგიზეთის ქალაქ კანტის წარმომადგენელი ორუზუკ ნაზაროვი (60), ერევნელი ისრაელ აკოფხანიანი (67,5), გომელელი ანდრია აკულოვი (71), მახაჩყალელი ნურმაგომედ შანავაზოვი (81) და დონეცკელი ალექსანდრე იაგუბკინი (91). გროზნოელი რუსლან ტარამოვი (75) მეორე ადგილზე გამოვიდა.

გაზეთ „კომუნისტის“ შვიდეული ნომერი გამოვა შაბათს, 12 აპრილს.

საღამოს გაზეთის დღიური საგზალი

8 აპრილს გაზეთ „თბილისის“ მეექვსასაზე ნომერი მიიღო მეგობელმა და ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნა მისი შემოქმედებითი კოლექტივის „ერგული“: „თბილისის მარადიული სამსახური უფლია „თბილისს“ თავის უპირველეს მიზნებად და მას უერთგულეს ელვარეთ“.

ეკლიანეთ... რედაქცია ამ სიტყვებში მეგობარ ძიებას, თბილისელთა ლესნილი თუ საწუხარზე ღრმად ნაფიქრებს ეკლესიობს.

და ამის დასტურია ჩვენი კორესპონდენტის ეს სასალამოსალი ინტერვიუ ეროვნის რედაქტორთან ბარბილ ბოგველიასთან:

— მიდეთ, გაბედეთ! შეუსაბამის უტყვარი „ხარომტრით“ — ბოლოსეული „ბენზინა-განწყობით დავიწყოთ.

თუ გაზეთის ფორმის შეცვლით?.. ჩვენს საიუბილეო ნომერში მოკლედ და ამომწურავად ვთქვით ამის თაობაზე. „თბილისმა“ ფორმა იცვალა და, ეს მხოლოდ მის გარეგნულ მხარეს როდი ეხება — გვსურს, შინაარსითაც უფრო ღრმა, საინტერესო და მრავალფეროვანი გახდეს იგი, უპირველესად კი ნებისმიერმა მკითხველმა იპოვოს სათავისო თემა გაზეთში. და სარედაქციო ფოსტის ამგვარი გაზრდაც ამაზე მიგვანიშნებს. მკითხველთა უმრავლესობა, მეტწილად, პირად საწუხარ-სატკივარზე გვწერს, თანაც ისეთზე, რომელთა უმეტესობა ადგილზეეე შეიძლება მოგვარდეს. ზოგი წერილი ბიუროკრატიზმის მსხვერპლის დაწერილია, ზოგი საყოფაცხოვრებო-საბინაო პირობებს უჩივის, მნიშვნელოვანი ნაწილი კი საქალაქო მეურნეობის აშკარა ნაკლოვანებებს. მკითხველს დრო აღარ რჩება, ან შეიძლება, არც აქვს საიმისო ხალისი, რომ სოციალურად მნიშვნელოვან პრობლემებს გამოეხმაუროს. რა თქმა უნდა, ეს აღარიბებს გაზეთის შინაარსს, ასუსტებს მკითხველთან კონტაქტს. რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ? — ან გაზეთი ვერ ასრულებს სრულფასოვნად თავის უპირველეს ფუნქციას და მკითხველს ვერ აწვდის ისეთ მასალას, რომელიც მას დააფიქრებს, აღელვებს და აზრის გამოთქმის სურვილს აღუძრავს, ანდა ყოველდღიურ ცხოვრებაში იმდენი მოუგვარებელი პრობლემაა, ისე სტაჯავს საქალქო მეურნეობის, საყოფაცხოვრებო თუ კომუნალური მომსახურების ხარვეზები, რომ მათს გარდა აღარაფერზე არ სურს იფიქროს. ჩემი აზრით, ერთიც არის და მეორეც.

— რას იტყოდით ასე ვთქვათ, საგაზეთო მეურნეობაზე?

— ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. მოკლედ კიდევ... სამწუხაროდ, ჯერაც ვერ ვწერთ სათანადოდ, რაც უნდა ვაღიაროთ. განსაკუთრებით ეს ითქმის პარტიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, საწარმოო და სამეცნიერო თემატიკაზე. მართალია ჩვენს გაზეთში პერიოდულად ქვეყნდება საინტერესოდ, პროფესიულად დაწერილი მასალები, მაგრამ ისინი, როგორც იტყვიან, ამინდს მაინც ვერ ქმნიან. „რკინა-ბეტონის ენით“ დაწერილი მასალა კი, რომელსაც პუბლიცისტური ალღოც აკლია, ხატოვანებაც და ანალიზის უნარიც, ცხადია, „ჯილდოდ“ მკითხველის გულგრილობას იმსახურებს.

— ახლა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ქმედითობასო, — ითქვა სკკ XXVII ყრილობაზე. რას ფიქრობს რედაქცია ასლეფურად აზროვნებასა და მუშაობაზე?

— დიახ, ახლა მთავარი, მართლაც რომ, სიახლის გრძნობა და მისი განზოგადებაა. მარტოოდენ ლაპარაკი როდი არგუს საქმეს, მთავარი მოქმედება და შედეგია. ყოველ გაზეთს, თავისი მიზნები აქვს. არსებობს პროგრამა-მინიმუმი და პროგრამა-მაქსიმუმი. ჩვენს გაზეთს კი, მიუხედავად მისი ბოლოდროინდელი ერთგვარი სახეცვლილებისა, პროგრამა-მინიმუმიც კი არ შეუსრულია ბოლომდე. ეს ამაო თვითგვემა არ გახლავთ — მთელი რედაქციის აზრია. გაზეთის მუშაობას უამრავი რაკურსი და საზომი აქვს. შესაძლოა, ყველა მიზნის ერთნაირად აღსრულება ვერ შეეძლოთ, მაგრამ ჩვენსავე თავს ვერაფრით ვერ ვაპატიებთ, თუკი მთავარი და არსებითი ქვეშაში გაპარული წყალივით შემოგველევა, თუ ჩვენმა პუბლიკაციებმა კონკრეტული, ხილული შედეგი არ მოიტანა, თუ წარმოებისა და საქალაქო მეურნეობის ნაკლოვანებების დაძლევას არ წაადგა, თუ მოსახლეობას უმწვავესი სოციალური პრობლემების ნაწილი მაინც არ შეუმსუბუქა, თუ უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანი არ დაიცვა, თუ მარტოოდენ ზნეობრიობისა და პატიოსნების ქადაგებით შემოიფარგლა...

დიახ, პირდაპირ უნდა ვთქვათ: ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ ამაყოფილი ჩვენივე გაზეთით, კრიტიკული თვალით ვუყურებთ და ვაფასებთ საკუთარ ნამუშევრებს, რადგანაც ანალიტიკური მიდგომის გარეშე პროგრესი წარმოუდგენელია და, ეგეც არ იყოს, „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“.

მეგობრობის მერიდიანებზე

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი...

ოცდახუთი წლის წინათ ვაჟა-ფშაველას ასი წლისთავის საიუბილეოდ აქედერდა ქართულ სცენაზე კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“, რომლის ლიბრეტოც პოემა „გველის-მჭაშელის“ მიხედვით შექმნა დრამატურგმა რევაზ თაბუკაშვილმა, ხოლო დადგა დიმიტრი ალექსიძემ. მას აქვეთ „მინდია“ დაიდგა ერევანში, მინსკში, ტარტუში, რიგაში, რამდენჯერმე უცხოეთშიც, კერძოდ, საარბრიუკენში 1974 წელს იგი დადგა რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ. სპექტაკლს დირიჟორობდა ავტორი. 1982 წელს „მინდიას“ პრემიერა გაიმართა ქალაქ მაინცში — რეჟისორი იყო მინდიას როლის პირველი შემსრულებელი ზურაბ ანჯაფარიძე, დირიჟორობდა გივი „აზმაიფარაშვილი. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოლომოუციც დაიდგა ეს შესანიშნავი ოპერა. „მინდია“ თავის სცენურ სიცოცხლეს აგრძელებს ქუთაისის საოპერო თეატრში. მარტის ბოლოს კი ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს ქალაქ კოშიცეში გამოჩნდა „მინდიას“ საანონსო აფიშები, ხოლო 21 და 23 მარტს გაიმართა პრემიერა, რომელმაც ქალაქის საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ეს მოხდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობის გახსნის წინა დღეებში და კოშიცეს სახელმწიფო თეატრმა იგი სწორედ ქვეყნის კომუნისტთა ამ დიდ ფორუმს მიუძღვნა.

სპექტაკლის დამდგმელია ქართველებისათვის უკვე ცნობილი ხელოვანი დრაგომირა ბარგარავა, რომელმაც თავდაპირველად რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელა“ გაალცო თანაქალაქელებს და ახლაც ძირითადად იგივე დამდგმელ ჯგუფთან ერთად დაუდგამს ო. თაქთაქიშვილის „მინდია“.

საუბარში ხელოვანმა ქალმა აღნიშნა მთელი დასის თავდადებული მუშაობა, განსაკუთრებით დირიჟორ ბორის ველტისა და ქორმაისტერ იულია რაჩოვას ის დიდი მონდომება და სიყვარული, რის წყალობითაც სპექტაკლმა ხორცი შეისხა უმოკლეს დროში — სამ კვირაში.

— ქორეოგრაფი პრაღის სახალხო თეატრიდან მოვიწვიეთ, — თქვა დრაგომირა ბარგარავამ, და გაგაცნო სახალხო არტისტი მიროსლავ კეტა. რეჟისორმა ქალმა გულისტკივილით ილაპარაკა ცნობილ მხატვარზე ლადისლავ შესტინზე, რომელსაც სცენოგრაფიულად საკმაოდ საინტერესოდ გაუხარებია ვაჟა-ფშაველას გმირთა სამყარო — სცენაზე პროექციის მეოხებით წარმოისახება მთათა საუფლო. სამწუხაროდ, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. შესტინი პრემიერას ვერ მოესწრო, იგი უეცრად გარდაცვლილა. სპექტაკლში კი მკაფიოდ გამოიკვეთა ვაჟას პოეზიის არსიდან გამომდინარე კონცეფცია — რომ ბუნებაც ცოცხალი და მეტყველია!

დრაგომირა ბარგაროვა მოხიბლულია საქართველოთი, კავკასიონის მთების სიდიადით, ქართული კულტურით.

— იმ ფირფიტებს შორის, რომლებიც საქართველოში ყოფნისას, შევიძინე, იყო „მინდიაც“. „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“... „მეორეს ღიმილით გალაკტიონის სტრიქონს ბრაგომირა და აღიარებს, რომ „მინდიას“ მოსმენის შემდეგ მან მოსვენება დაკარგა. — მივხვდი, რომ ეს ჩანაწერი მუსიკალური ნაწარმოები ძალზე საინტერესო იქნებოდა ჩვენი ხალხისათვის თავისი ღრმა ფილოსოფიით, ადამიანურობით, რითაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს შთაბეჭდილება გაძლიერა თვით ვაჟა-ფშაველას პოეზიის გაცნობამ — პოემის უჩვეულო ჟანრმა, მისმა გრძნეულმა სულმა და მეტაფორულმა პალიტრამ.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ლიბრეტოს თარგმანი ეკუთვნის გამოჩენილ პოეტს, სლოვაკურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელს მილოშ კრნოს (დრაგომირა ბარგაროვასთან ერთად).

...დადგა პრემიერის მღელვარე წუთები. ქართული მუსიკითა და პოეზიით ივსება მრავალსმომსწრე, ლირის მოყვანილობის დარბაზი. „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“... ქორეოგრაფიულ სურათშია გამოხატული ბუნების გამოღვიძება, ყვავილების გვირგვინებით შემკულ არსებათა მიგებება ამომავალ მზესთან, მზიანობთან და მის მეგობრობთან, მცენარეთა მესაიდუმლე მინდიასთან. ოპერა სამ მოქმედებად არის დადგმული — ამანაც შეუწყო ხელი რეჟისორის ჩანაფიქრის სიცხადეს, რომ უცხო მაყურებელს უფრო კარგად აღექვა ქართული ოპერის შინაარსი, მისი ლირიკული თუ დრამატული პასაჟები, კონფლიქტის მიზეზი და შედეგი. ლაღად ყღერდა ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკა, ინტონაციურად წმინდად, გამართულად მღეროდა გუნდი. უშუალო და მართალი იყო პარტნიორთა ურთიერთობა, მათი განცდები, ამიტომაც დარბაზმა გულწრფელი ტაში მიაგება მინდიას შემსრულებელს — სახალხო არტისტს იოზეფ კონდერს, ფრანტიშეკ ბალუნის ჩალხას, ლუდოვიტ კოვაჩის ხევისბერს, ჰაეროვან მზიას.

— სამი მზიაა ჩვენს „მინდიაში“ — ელისკა პაპოვა, სონა ვარადიოვა, ანა მარუსინოვა, — თქვა პრემიერის შემდეგ იოზეფ კონდერმა. მე იმდენად გამეტაცა მინდიას როლმა, ვაჟა-ფშაველას პოეზიამ და ოთარ თაქთაქიშვილის მუსიკამ, რომ თავდაუზოგავად გავდიოდი რეპეტიციებს სამივე მზიასთან, წუთით არ მიგვრძნია დაღლა, მინდია ჩემს უსაყვარლეს როლად იქცა. ამ ოპერაზე მუშაობამ დამარწმუნა, რომ ქართული პოეზია და მუსიკა ერთმანეთისაგან განუყოფელია.

— ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნიშნად დავდგით, ჩვენს ხალხს რომ მოეწონა ეს ნაწარმოები და დადგმა, ამის მოწმე თავად ბრძანდებით. ჩვენთვის მთავარია ახლა თქვენი აზრი, თქვენი პირუთვნელი შეფასება დიდად გაგვახარებს. და წადგეახალისებს, — თქვა პრემიერის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე თეატრის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მილან ბობულამ. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ პრემიერას ესწრება ქართული კულტურის მოღვაწეთა მოზრდილი ჯგუფი, რამაც მღელვარება და ლაზათი შემატა დღევანდელ საღამოს.

მასპინძლებს მადლიერებით, გულითადი სიტყვებით მიმართეს მუსიკათმცოდნემ ანტონ წულუკიძემ, კომპოზიტორის ვაჟმა მიხეილ თაქთაქიშვილმა, თეატრმცოდნემ ეთერ გალუსტოვამ სამახსოვრო საჩუქრები გადასცა თეატრს და სპექტაკლის ავტორებს, რეჟისორმა დრაგომირა ბარგაროვამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, თუ რა დიდი სიყვარულით ქმნიდა იგი ახალ ს